მუშანო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 7 (20653) — კვირა, 7 იანვარი, 1990 წელი. — ფასი 3 კაპ.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში

გაიმართა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს სხდომა, რომელმაც განიხილა და დასახა რესპუბლიკაში შექმნილი საზოგადოებრივ-პოლიტიკური ვითარების ნორმალიზაციის კონკრეტული ღონისძიებები.

აღინიშნა, რომ 3 იანვარს ცხინვალის რაიონის სოფელ ფრისში ცხრა თვის ბავშვის მკვლელობამ მკვეთრად გაამწვავა მდგომარეობა და საზოგადოებრივობის სამართლიანი აღშფოთება გამოიწვია. თბილისში, გორში, ზოგიერთ სხვა რეგიონში გაიმართა ხალხმრავალი მიტინგები, გამოითქვა უკმაყოფილება რესპუბლიკაში საზოგადოებრივ-პოლიტიკური ვითარების თაობაზე ზოგიერთ ცენტრალურ გაზეთში არაობიექტური ინფორმაციის გამოქვეყნების გამო.

თბილისის, გორის, ცხინვალის, ზნაურის, ლენინგორისა და ზოგიერთი სხვა რაიონის საზოგადოებრივობის წარმომადგენლებს სისტემატურად ხვდებიან გ. გუმბარიძე, ცენტრალური კომიტეტის ბიუროს სხვა წევრები, რესპუბლიკის მთავრობის ხელმძღვანელები. გულახდილ, პრინციპულ დიალოგში ზუსტდება ესა თუ ის ფაქტი, ინფორმაცია, საზოგადოებრივ-პოლიტიკური შეფასება ეძლევა მიმდინარე პროცესებს, იკვეთება და ზუსტდება პოზიციები, ისახება ხელისუფლების ორგანოებისა და საზოგადოებრიობის ურთიერთმბარდაჭერის, შექმნილი მდგომარეობის. ერთობლივი ძალისხმევით დროული ნორმალიზაციის კონკრეტული გზები.

ბიუროს სხდომაზე ხაზგასმით ითქვა, რომ პარტიულმა, საბჭოთა და სამართალდაცვითმა ორგანოებმა უფრო ქმედითი, საგანგებო ღონისძიებები უნდა განახორციელონ, რათა ამ რეგიონში აღდგეს სრული სიმშვიდე და წესრიგი, გაძლიერდეს პროფილაქტიკური და ახსნა-განმარტებითი მუშაობა, ჩანასახშივე აღიკვეთოს სამართალდარღვევის ყოველი ცდა, გამოირიცხოს ყოველგვარი დათმობა. ყველამ, ვინც უნდა იყოს ის, მკაცრად აგოს პასუხი კანონის წინაშე, რათა მოსახლეობამ დროულად და მთლიანად იგრძნოს სრული სიმშვიდე, სოციალური და მოქალაქეობრივი დაცულობა; განსაკუთრებული უურადღება უნდა მიექცეს დედაქალაქში და რესპუბლიკის სხვა რეგიონებში ნორმალური საზოგადოებრივ-პოლიტიკური ვითარებისა და ნორმალური შრომითი რიტმის შენარჩუნებას, ტელევიზიისა და პრესის საშუალებით მოსახლეობის ოპერატიულ და ობიექტურ ინფორმირებას არსებული ვითარებისა და ხელისუფლების ორგანოების მხრივ მიღებული ზომების შესახებ; ამ ზომებმა ფართო საზოგადოებრიობის აქტიური მხარდაჭერით უახლოეს ხანს უნდა უზრუნველყონ მდგომარეობის სტაბილიზაცია და ნორმალიზაცია.

ცნობად იქნა მიღებული, რომ სამართალდაცვითი ორგანოები უფრო ინტენსიურად განაგრძობენ სამართალდარღვევის შემთხვევების გამოძიებას. სისხლის სამართლის პასუხისგებაშია მიცემული მრავალი დამნაშავე, რეგიონში შეყვანილია საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს დამატებითი ძალები, განსაზღვრულია მათი დისლოკაცია და დადგენილია სიტუაციის შესატყვისად მოქმედების წესი, დასახულია და ხორციელდება საგანგებო ღონისძიებები იარაღის ამოსაღებად, თვითმქმედი შტაბებისა და პიკეტების მოსაშლელად და სხვ.

აღინიშნა ისიც, რომ დღეს, როცა ქმედითი ღონისძიებები ხორციელდება მოვლენათა სტიქიური განვითარების თავიდან ასაცილებლად, სრული სიმშვიდის დასამყარებლად და მდგომარეობას მთლიანად აკონტროლებენ ხელისუფლების ორგანოები, როცა მუშაობს საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს უკანასკნელი სესიის მიერ გამოყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სტატუსთან დაკავშირებული საკითხების შემსწავლელი საპარლამენტო კომისია, როცა უაღრესად დაძაბული ვითარებაა ამერკავკასიის რეგიონში, სადაც მოშლილია ასობით კილომეტრი სასაზღვრო ზოლი ირანთან, ასეთ პირობებში დაუშვებელია მოეწყოს გაფიცვები, ეროვნული კუთვნილების მიხედვით გაითიშონ შრომითი კოლექტივები, საზოგადოება.

პარტიულ, საბჭოთა და სამართალდაცვითს ორგანოებს მიეცათ შესაბამისი დავალებები.

გ. გუმბარიძის გამოსვლა რესპუბლიკური ტელევიზიით

ზიდა ქართლში, თბილისსა და ზოგიერთ სხვა რაიონში საზოგადოებრივ-პოლიტიკური ვითარების ახალ გართულებასთან დაკავშირებით, მიმდინარე წლის 5 იანვარს საქართველოს ტელევიზიით გამოვიდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. გუმბარიძე.

თავის გამოსვლაში მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ გასული წლის დამლევს სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა ყრილობაზე, სადაც გადაიდგა კიდევ ერთი ნაბიჯი გარდაქმნის პროცესებს, დემოკრატიზაციის, რადიკალური პოლიტიკური და ეკონომიკური რეფორმების დაჩქარების გზაზე, საქართველომ პრინციპული გამარჯვება მოიპოვა. სულიერად აღორძინდნენ, ამაღლდნენ საქართველო, ქართველება, რესპუბლიკის მთელი მოსახლეობა, რომლებსაც საფუძველი ჰქონდათ იმედიანად შეხვედროდნენ ახალ წელს, ერთმანეთისათვის სიმშვიდე, მხნეობა და შემდგომი გამარჯვებები ესურვებინათ.

სამწუხაროდ, ახალი წლის პირველი დღეებიდანვე კვლავ უკიდურესად დაიძაბა საზოგადოებრივ-პოლიტიკური ვითარება, რასაც ბიძგი მისცა ცხინვალის რაიონში მომხდარმა ახალმა დრამატულმა მოვლენამ.

მოსახლეობასთან, დაღუპული ბავშვის მშობლებთან, ახლო ნათესავებთან შეხვედრებმა, შიდა ქართლში, გორის რაიონში, შემდეგ კი თბილისში გამართულ ხალხმრავალ მიტინგებზე გამოსვლებმა, ცხინვალიდან, ზნაურიდან, გორიდან ჩამოსულებთან შეხვედრებმა კიდევ უფრო დაგვარწმუნა იმაში, რომ, სამწუხაროდ, არიან ძალები, რომლებიც არაფერს არ ერიდებიან, ხელიდან არ უშვებენ არც ერთ შემთხვევას, რათა დაარღვიონ სიმშვიდე ქართულ მიწა-წყალზე, გამოიწვიონ დესტაბილიზაცია რესპუბლიკაში, შექმნან კრიზისული კატასტროფული ვითარება, დაუპირისპირონ ერთმანეთს ხალხები და დაღვარონ სისხლი.

იმას, ვინც ნებსით თუ უნებლიედ ხელი აღმართა თოთო ბავშვზე, სასოწარკვეთილებამდე მიიყვანა მისი შშობლები — ქართველი მამა და ოსი დედა, არავითარი შენდობა არ ექნება. მიმდინარეობს სპეციალური გამოძიება, რომელიც უახლოეს ხანს დაადგენს ჭეშმარიტებას, მიაგნებს ბრალეულთა, რაც მოხსენდება საზოგადოებრიობას.

რაც შეეხება დღევანდელ დღეს, რეგიონში სრული სიმშვიდის დასამყარებლად ხორციელდება საგანგებო ღონისძიებანი, სრულდება წესრიგის დაცვისა და პატრულირების ახალი სქემა, ამოქმედებულია საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დამატებითი ძალები, განსაზღვრულია მათი დისლოკაცია, დადგენილია სიტუაციის შესატყვისად მოქმედების წესი, დასახულია და ხორციელდება საგანგებო ღონისძიებები იარაღის ამოსაღებად.

გ. გუმბარიძემ ხაზგასმით აღნიშნა, რომ მოვლენათა სტიქიური განვითარებას ბოლო მოელება, ხორციელდება გადამჭრელი ღონისძიებანი ყველა თვითთმქმედი შტაბისა და პიკეტის მოსაშლელად. მდგომარეობის ნორმალიზაცია უშინაარეს ყოვლისა სახელმწიფო ორგანოების ვალი და მოვალეობაა. ამ თვალსაზრისით რაიმე დათმობა გამორიცხულია. ხელისუფლების ორგანოების ამგვარ ძალისხმევას საზოგადოებრიობის სრული გაგება და მხარდაჭერა სჭირდება.

რესპუბლიკურ ორგანოებს აქვთ ყველა საჭირო ძალა წესრიგის დასამყარებლად, გარდაქმნის პროცესების, დემოკრატიზაციის წინ წაწევისათვის. რაც უნდა სავსებით გასაგები ემოციები ამოძრავებდეს ადამიანებს, წესრიგის დამყარება მთლიანად უნდა მივანდოთ სახელმწიფო ხელისუფლებისა და მმართველობის ორგანოებს.

გამოსვლაში განსაკუთრებით გაესვა ხაზი იმ აზრს, რომ, როცა რეგიონში ხორციელდება საჭირო კონკრეტული ღონისძიებანი, როცა მუშაობს საქართველოს უზენაესი საბჭოს უკანასკნელი სესიის შიერ შექმნილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სტატუსთან დაკავშირებული საკითხების შემსწავლელი საპარლამენტო კომისია, როცა უაღრესად დაძაბული ვითარებაა ამერკავკასიის რეგიონში, სადაც მოშლილია ასობით კილომეტრი სასაზღვრო ზოლი ირანთან, რასაც ყველანი ჩვენ სერიოზულად უნდა ჩავუფიქრდეთ, როცა სულ უფრო ღრმავდება საზოგადოების სხვადასხვა ფენის კონსოლიდაციის პროცესი, ასეთ პირობებში საეჭვოა სწორი იყოს აქცენტი ძალისმიერ მეთოდიკაზე და უკიდურესად რადიკალურ ქმედებებზე, მოეწყოს გაფიცვები, ეროვნული კუთვნილების მიხედვით გაითიშონ შრომითი კოლექტივები, საზოგადოება.

გ. გუმბარიძემ გამოთქვა რწმენა, რომ საზოგადოება არ აპყრობა ამგვარ პროვოკაციებს, რომლებსაც მხოლოდ ანარქიამდე, უმართავ პროცესებამდე მივყავართ და წყალს ასხამს სხვის წისქვილზე. რესპუბლიკას აქვს ყველა საშუალება, რათა საზოგადოებრიობის მხარდაჭერით ჯეროვანი წესრიგი დაამყაროს რესპუბლიკაში. ამ საქმეში საუკეთესო სამსახურს გაგიწევს სიბრძნე, წინდახედულება და ორგანიზებულობა. ეს საჭიროა ყველგან, განსაკუთრებით საქართველოს დედაქალაქში. დემოკრატიული განახლების გზით სარული შეგვიძლია მხოლოდ ყველას ერთად, როცა თითოეულ ჩვენს ნაბიჯს ეუხამებთ რეალურ ეითარებასა და რეალურ შესაძლებლობებს, ვაკვლენთ და ეაერთიანებთ ხალხის შემოქმედებითსა და აღმშენებლობითს ძალებს გარდაქმნის პლატფორმაზე.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოში

პასუხსაგები დრო სასოფლო-სამეურნეო საწარმოთა ცხოვრებაში

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ განიხილა საკითხი რესპუბლიკის სასოფლო-სამეურნეო საწარმოთა 1989 წლის საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის შეჯამებისა და კოლმეურნეობებისა და სამეურნეობათშორისო საწარმოებში (ორგანიზაციებში) საანგარიშო და საანგარიშო-საარჩევნო კრებების, აგრეთვე საბჭოთა მეურნეობებისა და სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო საწარმოების მშრომელთა კრებების მაღალორგანიზაციულ დონეზე ჩატარების მიზნით.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ დაადასტურა აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომებს, საქართველოს სსრ სახელმწიფო აგროსამრეწველო კომიტეტს, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ სახელმწიფო აგროსამრეწველო კომიტეტებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის აგროსამრეწველო კომიტეტს, რაიონების (ქალაქების) აგროსამრეწველო გაერთიანებებს ყოველმხრივი დახმარება გაუწიონ კოლმეურნეობებსა და სამეურნეობათშორის საწარმოებს, საანგარიშო და საანგარიშო-საარჩევნო, აგრეთვე საბჭოთა მეურნეობებს — მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრებების მომზადებულად და მაღალორგანიზაციულ დონეზე ჩატარების საქმეში.

საჭიროა ყოველმხრივ გაანალიზდეს სუსტი და დაბალრენტაბელური მეურნეობების ჩამორჩენის მიზეზები და დაისახოს კონკრეტული ღონისძიებანი, რომელთა მიზანია სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების გადიდება და თვითღირებულების შემცირება, მთავარი ყურადღება დაეთმოს შრომის ორგანიზაციისა და ანაზღაურების ახალი პროგრესული ფორმების, ბრიგადული და ოჯახური იჯარის, შიდასამეურნეო ანგარიშის მეთოდების დანერგვას, გაძლიერდეს ბრძოლა არამეურნეობრიობისა და არამწარმოებლური ხარჯების აღმოსაფხვრელად, სოციალისტური საკუთრების დასაცავად.

1990 წლის 1 თებერვლამდე უნდა შედგეს კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და სამეურნეობათშორისი საწარმოების (ორგანიზაციების) საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის შედეგების მიხედვით წლიური ანგარიშები, ხოლო 10 თებერვლამდე მოეწყოს მათი განხილვა საანგარიშო და საანგარიშო-საარჩევნო კრებებზე.

სახალხო დეპუტატთა რაიონული და ქალაქის საბჭოების აღმასკომებს, რაიონულ აგროსამრეწველო გაერთიანებებს დაეევალათ დაამტკიცონ 1990 წლის 15 იანვრამდე საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა სახელმწიფო მეურნეობების მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრებების, კოლმეურნეთა და სამეურნეობათშორისი საწარმოთა (ორგანიზაციათა) კოლექტივების საანგარიშო და საანგარიშო-საარჩევნო კრებების ჩატარების გეგმა-გრაფიკი, პასუხისმგებელ პირთა სია და წარადგინონ საქართველოს სსრ სახელმწიფო აგროსამრეწველო კომიტეტში 1990 წლის 20 იანვრამდე; 1990 წლის 15 თებერვლამდე დაამთავრონ ყველა კოლმეურნეობის, საბჭოთა მეურნეობისა და სამეურნეობათშორისი საწარმოს (ორგანიზაციის) წლიური ანგარიშების განხილვა რაიონული აგროსამრეწველო გაერთიანების საბჭოს სხდომაზე და უზრუნველყონ მათი წარდგენა საქართველოს სსრ სახელმწიფო აგროსამრეწველო კომიტეტში;

1990 წლის 25 თებერვლამდე წარუდგინონ საქართველოს სსრ სახელმწიფო აგროსამრეწველო კომიტეტს საბჭოთა მეურნეობების, კოლმეურნეობებისა და სამეურნეობათშორისი საწარმოების (ორგანიზაციების) ნაერთი ანგარიშები, საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმოების მუშა-მოსამსახურეთა კრებების, კოლმეურნეობების საანგარიშო და საანგარიშო-საარჩევნო კრებების მასალები, აგრეთვე ამ კრებებზე გამოთქმული წინადადებანი და კრიტიკული შენიშვნები მათზე შემდგომი რეაგირებისათვის.

საქართველოს სსრ სახელმწიფო აგროსამრეწველო კომიტეტს დაეევალა განიხილოს და 1990 წლის 1 მაისამდე საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს წარუდგინოს დადგენილების პროექტი საქართველოს სსრ სახელმწიფო აგროსამრეწველო კომიტეტის 1989 წლის საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის შედეგების შესახებ.

კოლმეურნეობებს, საბჭოთა მეურნეობებს, სამეურნეობათშორის საწარმოებს (ორგანიზაციებს) მიეცათ რეკომენდაცია, ნაკისრი ნეოფინანსო-სამეურნეო 1989 წლის საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის შედეგებზე, შეიმუშაონ კონკრეტული ღონისძიებანი საზოგადოებრივი წარმოების შემდგომი განვითარებისა და არსებულ ნაკლოვანებათა სალიკვიდაციოდ, უზრუნველყონ კოლმეურნეთა და მუშა-მოსამსახურეთა აქტიური მონაწილეობა მეურნეობის შედეგების შეჯამებისა და განხილვის კამპანიაში.

რესპუბლიკური და ადგილობრივი გაზეთების რედაქციებმა უნდა მოაწყონ საქართველოს სსრ სახელმწიფო აგროსამრეწველო კომიტეტის, საქართველოს სსრ კოლმეურნეობათა საბჭოს ხელმძღვანელთა და სპეციალისტთა გამოსვლები საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის შედეგების შეჯამებისა და კრებებზე მათი განხილვის შესახებ.

კოლმეურნეობათა, სამეურნეობათშორის საწარმოთა (ორგანიზაციათა) კოლექტივების საანგარიშო და საანგარიშო-საარჩევნო კრებების, აგრეთვე საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო საწარმოთა მუშა-მოსამსახურეების საერთო კრებების მუშაობაში მონაწილეობის მისაღებად გაიგზავნებიან საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს აგრეთვე სამინისტროთა და უწყებათა ხელმძღვანელი მუშაკები.

(საქინფორმი).

დაასახელეს დეპუტატობის კანდიდატები

დეპუტატობის კანდიდატებად დაასახელეს:

გორის რაიონის ბერბუკის მეხილეობა-მებოსტნეობის საბჭოთა მეურნეობის ბრიგადირი **არსენ ზაქარიას ძე ღოლიჯაშვილი** — საბჭოთა მეურნეობის შრომითი კოლექტივისაგან.

გორის რაიონის სვითის საბჭოთა მეურნეობის მუშა **ივანე სამხარაძე** — საბჭოთა მეურნეობის შრომითი კოლექტივისაგან.

გორის რაიონის ატენის საშუალო სკოლის დირექტორი **ნანული ვლადიმერის ასული ბარჯაძე** — სკოლის შრომითი კოლექტივისაგან.

აგროსამრეწველო კომპლექსის მუშაკთა პროფკავშირის კასპის რაიონული კომიტეტის თავმჯდომარე — **ოთარ გიორგის ძე ჭონიაშვილი** — ამ პროფკავშირის კასპის რაიონული ორგანიზაციისაგან.

საქართველოს თეატრის მოღვაწეთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარე **გრიგოლ დავითის ძე ლორთქიფანიძე** — ამ კავშირის შრომის კოლექტივისაგან.

საქართველოს კომპარტიის ლანჩხუთის რაიკომის პირველი მდივანი **ემზარ ალექსანდრეს ძე ბერიძე** — ლანჩხუთის რაიონული პარტიული ორგანიზაციისაგან.

ლანჩხუთის რაიონის ნიგოზიანის საშუალო სკოლის მასწავლებელი **ანზორ ვლადიმერის ძე დოლბორჭგინიძე** — სკოლის შრომითი კოლექტივისაგან.

ხობის საკოლმეურნეობათშორისო სამშენებლო ორგანიზაციის საბჭოს **მუშა გენადი შოთას ძე კანკია** — ამ ორგანიზაციის შრომის კოლექტივისაგან.

რესპუბლიკური საწარმოო გაერთიანება „საქწყალექსპლოატაციის“ კოლხეთის ზონის სარემონტო სამშენოთა სპეციალიზებული ტრესტის № 10 მოძრავ-მექანიზებული კოლონის ექსკავატორის მემანქანე **აგული იაგორის ძე აბრამია** — ამ მოძრავ-მექანიზებული კოლონის შრომითი კოლექტივისაგან.

საქართველოს კომპარტიის ამბროლაურის რაიკომის პირველი მდივანი **ირაკლი ბაქარის ძე ფრუიძე** — ამბროლაურის ქალთა რაიონული საბჭოსაგან.

საქართველოს კომპარტიის წითელწყაროს რაიკომის პირველი მდივანი **ბეჟან ბიძინას ძე გონაშვილი** — გამარჯვების და ზემო მაჩხანის საშუალო სკოლისა და სახალხო განათლების რაიონული განყოფილების შრომითი კოლექტივებისაგან.

ასპინძის რაიონის სოფელ იდუმალის კოლმეურნეობის მეცხოველეობის ფერმის მწყოლავი **დალი ლევანის ასული ბედოიძე** — კოლმეურნეობის შრომითი კოლექტივისაგან.

გურჯაანის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის დირექტორი **ილია შალვას ძე ნიბლაძე** — საბჭოთა მეურნეობის შრომითი კოლექტივისაგან.

გურჯაანის რაიონის სოფელ კაჭრეთის კოლმეურნეობის პროფკავშირის კომიტეტის თავმჯდომარე **ენვერ არჩილის ძე ლაზაშვილი** — აგროსამრეწველო კომპლექსის მუშაკთა პროფკავშირის გურჯაანის რაიონული ორგანიზაციისაგან.

ქალაქ თბილისის ორჯონიკიძის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს აღმასკომის სახალხო განათლების განყოფილების გამგე **აკაკი ნიკოლოზის ძე ვარანდაშვილი** — თბილისის № 126 საშუალო სკოლის შრომითი კოლექტივისაგან.

თბილისის **ზაქარია ფალიაშვილის** სახელობის № 2 სამუსიკო სასწავლებლის დირექტორი **თამაზ შოთას ძე გადილია** — სასწავლებლის შრომითი კოლექტივისაგან.

რესპუბლიკის სახაგრომრეწვის № 1 სარემონტო-სამშენებლო ტრესტის მმართველი **ნოდარ ვალერიანის ძე ბოკერია** — ტრესტის შრომითი კოლექტივისაგან.

თბილისის სატანსპორტო გაერთიანების უფროსი **ომარ შალვას ძე დარჯანია** — თბილისის № 2 სამგზავრო ავტოსატანსპორტო საწარმოს შრომითი კოლექტივისაგან.

თბილისის საცდელი ქარხანა „ინსტრუმენტის“ დირექტორი **ტრისტან ალექსანდრეს ძე კილაძე** — ქარხნის შრომითი კოლექტივისაგან.

ქალაქ თბილისის ოქტომბრის რაიონის ამბულატორიულ-პოლიკლინიკური გაერთიანების № 17 მეთაური პოლიკლინიკის მთავარი ექიმი **ვაჟა დავითის ძე დობორჯგინიძე** — პოლიკლინიკის შრომითი კოლექტივისაგან.

საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის მეორე მდივანი **ანტონ ვლადიმერის ძე ინგოროყვა** — თბილისის № 2 მექანიკური ქარხნის შრომითი კოლექტივისაგან.

თბილისის სანდრო ახმეტელის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი და მთავარი რეჟისორი **ალექსანდრე გიორგის ძე ქანთარია** — თეატრის შრომითი კოლექტივისაგან.

ქალაქ თბილისის გლდანის რაიონის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე **ვახტანგ იოსების ძე კოკნაძე** — თბილისის მსუბუქი ტაქსომოტორების № 3 საწარმოს შრომითი კოლექტივისაგან.

თბილისის № 4 სამგზავრო ავტოსატრანსპორტო საწარმოს დირექტორი **გელა გიორგის ძე კასრელიშვილი** — ამ საწარმოს შრომითი კოლექტივისაგან.

თბილისის № 126 საშუალო პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლის დირექტორი **გია ომარის ძე ხიზანიშვილი** — პროფტექსასწავლებლის შრომითი კოლექტივისაგან.

ქარხანა „პროგრესის“ საამქროს უფროსის მოადგილე **პაატა გიორგის ძე ხელაშვილი** — ქარხნის შრომითი კოლექტივისაგან.

ქალაქ თბილისის ოქტომბრის რაიონის ამბულატორიულ-პოლიკლინიკური გაერთიანების № 33 პოლიკლინიკის მთავარი ექიმი **თამაზ ჭიჭოკის ძე გიორგაძე** — პოლიკლინიკის შრომითი კოლექტივისაგან.

საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის მეორე მდივანი **ანტონ ვლადიმერის ძე ინგოროყვა** — თბილისის № 2 მექანიკური ქარხნის შრომითი კოლექტივისაგან.

ქალაქ თბილისის ლენინის რაიონის ამბულატორიულ-პოლიკლინიკური გაერთიანების № 7 პოლიკლინიკის მთავარი ექიმი **ოთარ ალექსანდრეს ძე მიქაბერიძე** — პოლიკლინიკის შრომითი კოლექტივისაგან.

ხებნისის სანერგე საბჭოთა მეურნეობის მძღოლი **გიორგი ვახტანგის ძე სიმონიშვილი** — საბჭოთა მეურნეობის შრომითი კოლექტივისაგან.

საქართველოს კომპარტიის თბილისის საქარხნო რაიკომის პირველი მდივანი **ბადრი შალვას ძე შოშიტაიშვილი** — „მშენინდუსტრია“ ტრესტის თბილისის რკინაბეტონის ნაეთობათა № 3 ქარხნის შრომთი კოლექტივისაგან.

„საქინჰიდროენერგომშენის“ თბილისის დამბათა საწარმოთა სამმართველოს მუშა **ნელი ალექსანდრეს ასული ოდიკაძე** — სამმართველოს შრომითი კოლექტივისაგან.

ქარხანა „თბილისხელსაწყოს“ დირექტორი **თამაზ გრიგოლის ძე ბეჟანიშვილი** — ქარხნის შრომითი კოლექტივისაგან.

ქუთაისის საქერამალო-სანაპიროო გაერთიანება „ნერეიდი“ ონის საქერამალო ფაბრიკის მუშა **ნანა ვენიამინის ასული რეხვიაშვილი** — ფაბრიკის შრომითი კოლექტივისაგან.

ლერი ვლადიმერის ძე კოხრეიძე — სამმართველოს შრომითი კოლექტივისაგან.

თბილისის № 8 კლინიკური საავადმყოფოს მთავარი ექიმი **ჯემალ გრიგოლის ძე ნიკოლეიშვილი** — საავადმყოფოს შრომითი კოლექტივისაგან.

თბილისის სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება „ინორის“ გენერალური დირექტორი **ნოდარ ვლადიმერის ძე ბელაშვილი** — გაერთიანების შრომითი კოლექტივისაგან.

ქალაქ თბილისის ლენინის რაიონის ამბულატორიულ-პოლიკლინიკური გაერთიანების **ოთარ ალექსანდრეს ძე მიქაბერიძე** — პოლიკლინიკის შრომითი კოლექტივისაგან.

ხებნისის სანერგე საბჭოთა მეურნეობის მძღოლი **გიორგი ვახტანგის ძე სიმონიშვილი** — საბჭოთა მეურნეობის შრომითი კოლექტივისაგან.

საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი **ბადრი შალვას ძე შოშიტაიშვილი** — „მშენინდუსტრია“ ტრესტის თბილისის რკინაბეტონის ნაეთობათა № 3 ქარხნის შრომთი კოლექტივისაგან.

„საქინჰიდროენერგომშენის“ თბილისის დამბათა საწარმოთა სამმართველოს მუშა **ნელი ალექსანდრეს ასული ოდიკაძე** — სამმართველოს შრომითი კოლექტივისაგან.

ქარხანა „თბილისხელსაწყოს“ დირექტორი **თამაზ გრიგოლის ძე ბეჟანიშვილი** — ქარხნის შრომითი კოლექტივისაგან.

ქუთაისის საქერამალო-სანაპიროო გაერთიანება „ნერეიდი“ ონის საქერამალო ფაბრიკის მუშა **ნანა ვენიამინის ასული რეხვიაშვილი** — ფაბრიკის შრომითი კოლექტივისაგან.

(საქინფორმი).

რესპუბლიკაში გრძელდება საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატთა დასახელება

ხელილის ძე ლეკოშვილი — დავით აღმაშენებლის პროსპექტის მცხოვრებლებისაგან.

თბილისის ექსპერიმენტული და კლინიკური თერაპიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი **ნოდარ ნიკოლოზის ძე ყიფშიძე** — ინსტიტუტის შრომითი კოლექტივისაგან.

აბასთუმნის ასტროფიზიკური ობსერვატორიის დირექტორის მოადგილე სამეცნიერო ნაწილში **ვიქტორ პეტრეს ძე ჯაფაროვი** — ადიგენის რაიონის დაბა აბასთუმნის ამომრჩევლებისაგან.

საქართველოს კომპარტიის ადიგენის რაიკომის პირველი მდივანი **ტრისტან სიმონის ძე პეტაშვილი** — ადიგენის რაიონული პარტიული ორგანიზაციისაგან.

თბილისის საწარმოო გაერთიანება „ელმავალმშენებლის“ გენერალური დირექტორი **ზურაბ დავითის ძე ჩიკვაძე** — გაერთიანების შრომითი კოლექტივისაგან.

თბილისის ქარხანა „ელექტროზოლიტის“ დირექტორი **თენგიზ ჰიხელის ძე ტუაევაძე** — ქარხნის შრომითი კოლექტივისაგან.

თბილისის № 5 სამშობიაროს სახლის მთავარი ექიმი **ალექსანდრე მელიქიშვილის ძე ლაბარტყავა** — სამშობიარო სახლის შრომითი კოლექტივისაგან.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის მეცნიერი თანამშრომელი **ზაზა იურის ძე სიხარულიძე** — სრულიად საქართველოს რუსთაველის საზოგადოებასთან არსებული ინვალიდთა ასოციაციის საბჭოსაგან.

საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი **ნიკოლოზ მიქელაძის** სახელობის № 8 სავაჭრო-სამშენებლო ტექნიკუმის დირექტორი **თამაზ შოთას ძე ბოლქვაძე** — ამ ტექნიკუმის შრომითი კოლექტივისაგან.

ქალაქ თბილისის ლენინის რაიონის საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე **ვახტანგ ალექსანდრეს ძე ბოლქვაძე** — თბილისის მსუბუქი ტაქსომოტორების № 3 საწარმოს შრომითი კოლექტივისაგან.

ქალაქ თბილისის ლენინის რაიონის საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე **ვახტანგ იოსების ძე კოკნაძე** — თბილისის მსუბუქი ტაქსომოტორების № 3 საწარმოს შრომითი კოლექტივისაგან.

ქალაქ თბილისის ლენინის რაიონის ამბულატორიულ-პოლიკლინიკური გაერთიანების № 7 პოლიკლინიკის მთავარი ექიმი **ოთარ ალექსანდრეს ძე მიქაბერიძე** — პოლიკლინიკის შრომითი კოლექტივისაგან.

ხებნისის სანერგე საბჭოთა მეურნეობის მძღოლი **გიორგი ვახტანგის ძე სიმონიშვილი** — საბჭოთა მეურნეობის შრომითი კოლექტივისაგან.

საქართველოს კომპარტიის თბილისის საქარხნო რაიკომის პირველი მდივანი **ბადრი შალვას ძე შოშიტაიშვილი** — „მშენინდუსტრია“ ტრესტის თბილისის რკინაბეტონის ნაეთობათა № 3 ქარხნის შრომთი კოლექტივისაგან.

„საქინჰიდროენერგომშენის“ თბილისის დამბათა საწარმოთა სამმართველოს მუშა **ნელი ალექსანდრეს ასული ოდიკაძე** — სამმართველოს შრომითი კოლექტივისაგან.

ქარხანა „თბილისხელსაწყოს“ დირექტორი **თამაზ გრიგოლის ძე ბეჟანიშვილი** — ქარხნის შრომითი კოლექტივისაგან.

ქუთაისის საქერამალო-სანაპიროო გაერთიანება „ნერეიდი“ ონის საქერამალო ფაბრიკის მუშა **ნანა ვენიამინის ასული რეხვიაშვილი** — ფაბრიკის შრომითი კოლექტივისაგან.

(საქინფორმი).

ჩვენი მტერ-მოყვარე

ანუ ქიმიზაციის ზოგიერთი ეკონომიკურ-ეკოლოგიური ასპექტის შესახებ

უკანასკნელ ხანს როგორც რესპუბლიკურ, ისე საკავშირო პრესაში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ქიმიზაციის პრობლემებს. მასზე ახლა ბევრს წერენ და მსჯელობენ. ხშირად დავობენ კიდეც. დავის საკითხი კი უპირატესად სოფლის მეურნეობაში ქიმიის საშუალებების გამოყენება და ეკოლოგიასთან მისი კავშირურთიერთობაა. და ეს სავსებით ლოგიკურია. ქიმიზაციის განვითარების სწრაფმა ტემპმა და დიდმა მასშტაბებმა მოითხოვა დღის წესრიგში მთელი სიმწვავით დასმულიყო მისი გამოყენების ტექნოლოგიური და ეკონომიკური მექანიზმის აუცილებელი სრულყოფისა და რეგულირების საკითხი, რათა მას არ დაერღვიოს ეკოლოგიური წონასწორობა.

დიახ, ამ მეტად მნიშვნელოვან საკითხზე ახლა ბევრი დავა და კამათია, ბევრი პუბლიკაციაც გამქვეყნდა, მაგრამ ყველა მთგანში როდია მოცემული სწორი თვალსაზრისი. ავტორთა ნაწილი ერთი უკიდურესობიდან მეორეში ვარდება და თითქმის უარყოფს კიდეც ქიმიის საშუალებების გამოყენებას.

გარეშეს დაბინძურების გამო განგაშის ატეხვა და შიში არც უსაფუძვლოა და არც გასამტყუნარი, რადგან ეკოლოგიური წონასწორობის დარღვევამ უკიდურესად საშიშ ზღვარს მიაღწია. მაგრამ ამ შემთხვევაშიც მეტი აწონ-დაწონვა, პრიორიტეტული მიმართულებების მიგნება და დასახვაა საჭირო, რადგან ეკოლოგია განყენებული ცნება როდია. იგი ხომ მჭიდროდ უკავშირდება ქიმიურ, ფიზიკურ, ბიოლოგიურ პროცესებსაც, ეკონომიკასაც, ერთი სიტყვით, აბალხო მეურნეობის ფუნქციონირების მთელ კომპლექსურ სისტემას.

ამიგად, როდესაც ქიმიზაციაზე ვმსჯელობთ, მას რამდენიმე კუთხით უნდა შევხედოთ. ეს არის, ჯერ ერთი, სასურსათო პროდუქტების წარმოების ზრდის და მათი დანაკარგების ლიკვიდაციის საშუალება, მეორე, როგორც წარმოების ინტენსიფიკაციის ერთ-ერთი მძლავრი ელემენტი, და მესამე, როგორც ეკოლოგიური წონასწორობის რეგულირების ფაქტორი.

აქ ზოგიერთი იტყვის — ქიმიის საშუალებების გამოყენება სწორედ იმიტომ იმსახურებს კრიტიკას, რომ იგი ბუნებას აბინძურებსო. ეს მოსაზრება არც არის უსაფუძვლო, მაგრამ აქვე გადაჭრით უნდა ითქვას ისიც, რომ იასნი ეკოლოგიაზე უარყოფითად მოქმედებენ მხოლოდ მაშინ, როდესაც მოსავლის დაკარგვის საშიშროება გვემუქრება. იმის განსაზღვრისათვის, კონკრეტულ შემთხვევაში საჭიროა თუ არა ბრძოლის ქიმიური მეთოდის გამოყენება, ჯერ ერთი, აუცილებელია ვიცოდეთ საჭირო დანახარჯთა მოცულობა, მეორე, იმ ზარალის მაქსიმუმი, რომელიც შეიძლება მიაყენოს მეურნეობას მწერმა, მღრღნელმა, სოკომ, სარეველა ბალახმა თუ სხვა მავნე ორგანიზმმა, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ბრძოლის ქიმიური საშუალებები უნდა გამოვიყენოთ მაშინ, როდესაც ეს ეკონომიკურად არის გამართლებული, როდესაც მათი გამოყენება ეკონომიკურ ეფექტს მოგვცემს.

დღეს სოფლის მეურნეობაში ქიმიური პრეპარატების გამოყენების დამკვიდრებულ პრაქტიკაში ბევრი უარყოფითი ტენდენცია შეიმჩნევა, რაც განსაზღვრავს კიდეც მათი გამოყენების თაობაზე შექმნილ აზრსა და შეხედულებებს და, ამასთან, გადაუდებლად მოითხოვს არსებული ხარვეზების დაძლევის ძირითადი მიმართულებების დასახვას.

ამ თვალსაზრისით უწინარესად აღსანიშნავია, რომ სასოფლო-სამეურნეო საწარმოებში არცთუ იშვიათად უხეშად ირღვევა მინერალური სასუქების, განსაკუთრებით კი მცენარეთა დაცვის ქიმიური საშუალებების გამოყენების წესები, ვადები და დოზები. სასუქების დამბინძურებლებისას, რომლებიც ქიმიურ, მეტალურგიულ და მრეწველობის სხვა დარგებში საწვავის წვის შედეგად გამოიფრქვევა. ისიც საეჭვოა, რომ ქიმია ადამიანის საქმიანობის სხვა სფეროებთან შედარებით 10-ჯერ ნაკლებად აზიანებს გარემოს, თანაც ამ ზიანის ლიკვიდაციისათვის საწარმოები იძულებული ხდებიან ისევ ქიმიურ მეთოდს მიმართონ.

ამის მიუხედავად სოფლის მეურნეობაში ქიმიის საშუალებების გამოყენების დროს დიდი მნიშვნელობა ენიჭება სიფრთხილის ყველაზეი სრულად დაცვას, რაც პრეპარატების შექმნის პროცესიდანვე უნდა იწყებოდეს.

ამჟამად მსოფლიოს მასშტაბით პესტიციდების გამოყენების უარყოფითი ეკოლოგიური და სხვა ხასიათის შედეგების თვალიდან აცილების ყველაზე პრიორიტეტული მიმართულებაა მეცნარეთა დაცვის ინტეგრირებული სისტემა. იგი საშუალებას იძლევა მეცნიერულ საფუძვლებზე დაყრდნობით ვარგულიროთ ქიმიის საშუალებების გამოყენება, ნაკლებად ვისარგებლოთ მათი შესაძლებლობებით და უვნებელი გავხადოთ მავნე ორგანიზმების წინააღმდეგ ბრძოლა.

ამ სისტემაში ქიმიის გვერდით უნდა იდგეს მცენარეთა დაცვის ბიოლოგიური მეთოდები. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ როდესაც ბიოლოგიური მეთოდების გამოყენებაზე ვმსჯელობთ, არც ამ შემთხვევაში უნდა გადავვარდეთ უკიდურესობაში და არ ჩავთვალოთ, თითქოს ეს მეთოდები ყოვლად უვნებელია მიუხედავად იმისა, თუ როგორ და რახანირად გამოვიყენებთ. როგორც ქიმიის საშუალებების, ისე ბიოლოგიური მეთოდების გამოყენების დროსაც უდიდესი სიფრთხილეა საჭირო.

როგორც ცხობილია, მცენარეთა დაცვის ღონისძიებების განხორციელება მიზანშეწონილია მხოლოდ მაშინ, როდესაც მოსავლის დაკარგვის საშიშროება გვემუქრება. იმის განსაზღვრისათვის, კონკრეტულ შემთხვევაში საჭიროა თუ არა ბრძოლის ქიმიური მეთოდის გამოყენება, ჯერ ერთი, აუცილებელია ვიცოდეთ საჭირო დანახარჯთა მოცულობა, მეორე, იმ ზარალის მაქსიმუმი, რომელიც შეიძლება მიაყენოს მეურნეობას მწერმა, მღრღნელმა, სოკომ, სარეველა ბალახმა თუ სხვა მავნე ორგანიზმმა, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ბრძოლის ქიმიური საშუალებები უნდა გამოვიყენოთ მაშინ, როდესაც ეს ეკონომიკურად არის გამართლებული, როდესაც მათი გამოყენება ეკონომიკურ ეფექტს მოგვცემს.

დღეს სოფლის მეურნეობაში ქიმიური პრეპარატების გამოყენების დამკვიდრებულ პრაქტიკაში ბევრი უარყოფითი ტენდენცია შეიმჩნევა, რაც განსაზღვრავს კიდეც მათი გამოყენების თაობაზე შექმნილ აზრსა და შეხედულებებს და, ამასთან, გადაუდებლად მოითხოვს არსებული ხარვეზების დაძლევის ძირითადი მიმართულებების დასახვას.

ამ თვალსაზრისით უწინარესად აღსანიშნავია, რომ სასოფლო-სამეურნეო საწარმოებში არცთუ იშვიათად უხეშად ირღვევა მინერალური სასუქების, განსაკუთრებით კი მცენარეთა დაცვის ქიმიური საშუალებების გამოყენების წესები, ვადები და დოზები. სასუქების გამოყენებისას საწარმოები უგულებელყოფენ ისეთ აუცილებელ ნორმატიულ დოკუმენტს, როგორიც არის აგროქიმიური კარტოგრამა. არადა, სწორედ ის არის სასუქის ამა თუ იმ სახეობის, ამა თუ იმ მინდორზე და ამა თუ იმ კულტურის სასარგებლოდ დასაბუთებული გამოყენების მთავარი საზომი.

კარტოგრამების გამოყენება და, საერთოდ, სპეციალისტების პრობლემა ძალზე მწვავედ დასცა იჯარული ურთიერთობის პირობებში. იჯარული კოლექტივები, იმის გამო, რომ ცდილობენ ნაკლები დანახარჯებით მეტი პროდუქცია აწარმოონ, უარს ამბობენ სპეციალისტების გამოყენებაზე და მეცნიერული რეკომენდაციებისათვის საფასურის გადახდაზე. ასეთი უარყოფითი ტენდენცია ჯერჯერობით შესამჩნევია იჯარაშიც და კოოპერატიულ მოძრაობაშიც. არადა, ზომ ფაქტია, რომ კარგი სპეციალისტისა და კარგი მეცნიერული რეკომენდაციისათვის გაწეული ხარჯი ერთიორად და მეტადაც ასარგებლებს გამჭრიახ და ჭკვიან მეურნეს. იჯარული კოლექტივური. ყოველივე ეს, ცხადია, მკვეთრად აქვეითებს მათს ხარისხს და დანაკარგებსაც იწვევს. ამას გარდა, დიდია სასუქების დანაკარგები ტრანსპორტირების, დატვირთვა-გადმოტვირთვის და ნიადაგში შეტანის დროს. ესეც, ცხადია, უარყოფითად მოქმედებს მათი გამოყენების საერთო სისტემაზე, ტექნოლოგიურ მექანიზმზე, რაც ეკონომიკაზეც და ეკოლოგიაზეც უარყოფითად მოქმედებს.

ეკოლოგიურად სუფთა და უვნებელი ქიმიზაციისათვის მისი საშუალებების ინტეგრირებული გამოყენების საერთო სისტემაში თანდათანობით დიდი ყურადღება უნდა დაეთმოს თხევადი სასუქების გამოყენებას, ჰერბიციდებსა და პესტიციდებთან მათი ნაზავისა და ნარევის ხმარებას. ეს მეთოდი სულ უფრო პრიორიტეტული ხდება მსოფლიოს მასშტაბით. თუ პარალელს გავავლებთ, უნდა ითქვას, რომ თანამდროვე მიწათმოქმედი უკვე ცდილობს რაც შეიძლება ნაკლებად გამოიყენოს ტექნიკა ერთსა და იმავე ნაკვეთზე და აგრეგატის ერთი მოძრაობით რამდენიმე ოპერაცია შეასრულოს. ეს მიმართულება ნიადაგის მინიმალური დამუშავების სახელწოდებით არის ცნობილი და პროგრესულად ითვლება. ასევეა ქიმიის საშუალებების გამოყენებია დროსაც. ოღონდ ამ შემთხვევაში ქიმია უნდა შეიზღუდოს აგროტექნიკური, ბიოლოგიური და სხვა მეთოდების ურთიერთშეთანაწყობილი და გონივრული გამოყენებით.

დიახ, სოფლის მეურნეობაში ქიმია შეძლებისდაგვარად უნდა შეიზღუდოს, მაგრამ მთლიანად კი არ უნდა უკუვაგდოთ, გადაჭრით უნდა ითქვას, რომ უქიმიოდ, თუ მის საშუალებებს გააზრებულად და დასაბუთებულად გამოვიყენებთ, სოფლის მეურნეობის წინსვლა წარმოუდგენელია. ამდენად ქიმიისა კი არ უნდა გვეშინოდეს ეკოლოგიაზე ზრუნვისას, არამედ სწორედ მას უნდა ვიყენებდეთ გარემოს გაჯანსაღებისათვის. ეკოლოგია ცალმხრივი და განყენებული ცნება არ არის, იგი უკავშირდება ბუნებაში არსებულ ქიმიურ, ბიოლოგიურ, ფიზიკურ თუ სხვა ერთმანეთთან დაკავშირებულ პროცესებს, რომელთაგან ერთი რომელიმეს გამოტოვება არღვევს საერთო კანონზომიერებას.

საკითხის ასე დაყენებით სოფლის მეურნეობის ქიმიზაცია უცილობლად მჭიდროდ უკავშირდება ეკონომიკას, რამეთუ წარმოების შემდგომი ინტენსიფიკაცია მისი პოტენციალის განმტკიცების ძირითადი ფაქტორია. ახლა, როდესაც მთელი აქტუალობითა და მასშტაბურობით დგას რესპუბლიკის ეკონომიკური სუვერენიტეტის საკითხი, სხვა მთავარ პრობლემებთან ერთად ასევე გონივრულად უნდა ვწყვეტდეთ სასურსათო პროდუქტების წარმოების ზრდისა და სტაბილიზაციის პრობლემას. ამას კი მიწათმოქმედების საკმაოდ მაღალი კულტურა სჭირდება, რომლის დონეც დღეს უკიდურესად დაბალია. მიწათმოქმედებაა მაღალი კულტურა კი უწინარეს ყოვლისა მკაცრად ინტეგრირებულ ტექნოლოგიურ სისტემას უნდა ეყრდნობოდეს, რომლის ერთ-ერთი ძირითადი რგოლია ქიმიის საშუალებები. მათი ძალა ჩვენს ხელთაა და იგი ისე უნდა გამოვიყენოთ, როგორც ამას თანამედროვე და მომავლის აგრობიოლოგიური მეცნიერება ითხოვს, მეცნიერება, რომლის უკუგებაც რეალური და წონადი უნდა იყოს როგორც ეკონომიკური, ისე ეკოლოგიური თვალსაზრისით. ამ საკითხის გადაჭრა და გადაწყვეტა ალტერნატივა არა აქვს.

ომარ ქეშელაშვილი,
ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, აგროსამრეწველო კომპლექსის ეკონომიკისა და მართვის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე.

შემოგრუნება ადამიანისაკენ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ადამიანი, მშრომელი კაცი თითქოს ყოველთვის იყო ყურადღების ცენტრში. გაისმოდა ლოზუნგები „ყველაფერი ადამიანისათვის, მისი კეთილდღეობისათვის“, მაგრამ ეს იყო მხოლოდ დეკლარაციული განცხადება, ცარიელი სიტყვა. ფაქტობრივად ბევრი არაფერი კეთდებოდა ადამიანის ბედნიერებისათვის. ამ მხრივ კიდევ უფრო გართულდა ვითარება უძრაობის ავადსახსენებელი წლებში. პრაქტიკულად თუ რა ზიანი მოუტანა ყოველივე ამან რუხთავის მეტალურგიულ ქარხანას, ეს კარგად არის ცნობილი. ბევრმა კადრის მუშამ უბოდიშოდ დატოვა მშობლიური საწარმო, ბევრსაც გული გაუტყდა და დაკარგა ენთუზიაზმი. ამან ქარხანა დიდი ჩამორჩენის ზღურბლზე მიიყვანა. ვითარება სასიკეთოდ შეიცვალა თანამედროვე გარდაქმნის პირობებში. საწარმოს დირექციამ, პარტიულმა და პროფკავშირულმა ორგანიზაციებმა პირი იბრუნეს ადამიანებისაკენ, მუშათა კლასისაკენ, გაითავისეს მათი სატკივარი.

ამ ბოლო დროს ბევრი დადებითი ძვრა მოხდა ჩვენი მრავალათასიანი კოლექტივის ცხოვრებაში, მის ეკონომიკაში, სოციალურ სფეროში. რაც ყველაზე მთავარია, ძირფესვიანად გარდაიქმნა ქარხნის ტექნიკური განვითარების პროგრამა. გავაჩერეთ ქრონიკულად წამგებიანი საამქროები, რამაც საშუალება მოგვცა წამგებიანი საწარმოები მომგებიანი გამხდარიყო. გადადგმულია პირველი ნაბიჯები გამოშვებული პროდუქციის, ხარისხის გაუმჯობესებისათვის, ძირითადი საწარმოო ფონდების ტექნიკური გადაიარაღებისა და რეკონსტრუქციისათვის.

ეკონომიკაში მომხდარმა დადებითმა ძვრებმა მოგვცა მშრომელთა მატერიალური უზრუნველყოფის გაუმჯობესების საშუალება. 1986 წელთან შედარებით საწარმოო პერსონალის საშუალო თვიური ხელფასი 19 პროცენტით გაიზარდა — 272 მანეთი და 66 კაპიკი შეადგინა.

შრომითი განწყობილების ამაღლებაში დიდ როლს ასრულებს საყოფაცხოვრებო პირობები. ქარხნის დირექტორატის მითითებით და დახმარებით ვიზრუნებთ მუშათა სასადილოებისა და მაღაზიების საჭირო პროდუქტებით და სამრეწველო საქონლით მომარაგებისათვის. ამიტომ სისტემატიურად ვაკონტროლებთ სზადასტეკნიკურ ორგანიზაციებს, ვცდილობთ აიცილოთ ჭამოყოფილი ფონდები. შემოდგომით, მაგალითად, დიდძალი კარტოფილი შემოვზიდეთ წალკის რაიონიდან და შევაქვეინთ მარაგი. ასევე მომარაგებულია კომბოსტო, ჭარხალი და ა. შ. მაგრამ ქარხანა მარტო სხვისი ხელის შემყურე როდია, თავად იღებენ სასურსათო პროგრამის განხორციელებისათვის, არც თუ ცოტა თანხებს გამოჰყოფს დამხმარე მეურნეობის განვითარებისათვის, რაც უკუგებასაც იძლევა. მაგალითად, მიმდინარე წელს, განვლილ პერიოდში, უკვე ვაწარმოეთ 250 ცენტნერამდე ღორის, ცხვრისა და საქონლის ხორცი და 450 ცენტნერამდე რძე, რომლითაც მარაგდება ქარხნის ყვიის კომბინატი, მაღაზიებში ხელსაყრელ ფასებში ვაძლევთ შუშა-მოსამსახურეებს. განვავითარეთ აგრეთვე მებოსტნეობა. ქარხნის სათბურში უხვად მოგვყავს მწვანილი, კიტრი და პამიდორი. საკუთარი ვიტამინიანი საკვები მეტალურგებისათვის ზამთარშიც საკმაოდ გვაქვს.

სასურსათო პროგრამის გადაწყვეტაში გარკვეული წვლილი შეიტანს კოლექტიური მებაღეობას, რომელშიც 2800-ზე მეტი მეტალურგია გაერთიანებული. ჩვენი მებაღეობის ამხანაგობა „ხალიბი“ მოწინავეა რესპუბლიკაში, რაკი წელია იგი ინარჩუნებს პირველ საპრიზო ადგილს. მიმდინარე წელს თითოეულ საბაღე ნაკვეთზე საშუალოდ მიღებულია 1459 კილოგრამზე მეტი სოფლის მეურნეობის პროდუქტები. ქარხნის დირექციამ გამონახა დრო და საშუალებანი — კოლექტიური მებაღეობის ამხანაგობას აუშენა სამი მცირეგაბარიტიანი წყალსაცავი, რითაც მეურნეობა მთლიანად დაკმაყოფილდა სარწყავი წყლით. ასევე გაუყვანეს ელექტროენერგია, შენდება მებაღეთა ადმინისტრაციული სახლი და ა. შ. ამჟამად სათანადო ორგანოებმა გარდაბნის რაიონის სოფელ ახალ სამგორში კიდევ გამოგვიყო 60 ჰექტარი საბაღე ფართობი. მათ ჩვენ პირველი რიგში მოწინავე მუშებს ვუნაწილებთ. საკუთარ ნაკვეთში მოწეული მოსავალი თითოეულ მეტალურგმი იწვევს სიამაყის გრძნობას, ამაღლებს მშობლიური საწარმოსადმი სიყვარულს.

ჩვენს ქარხანაში მოქმედებს კომპლექსური პროგრამა „ბინა-2000“. ეს იმას ნიშნავს, რომ საუკუნის დასასრულისათვის ბინის პრობლემა ჩვენთან მთლიანად უნდა იქნეს გადაწყვეტილი. მაგრამ სამინაო მშენებლობის თანამედროვე ტემპების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ეს პროგრამა დიდი ხნით ადრე განხორციელდება. მაგალითად, შარშან მეტალურგებმა მიიღეს 20 ათასი კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობი. აღსანიშნავია, რომ ბინათმშენებლობისათვის ქარხანა ყოველწლიურად ვამოყოფს ხუთ მილიონ მანეთს. ახლახან ახალი კომფორტული ბინების გასაღები მიიღო 175 ოჯახმა, 238 ოჯახი ახალმოსახლეობას იზიმების საოჯახო საერთო საცხოვრებლებში; რომლებიც ცხრასართულიანი ნაგებობაა და თითქმის არაფრით არ განსხვავდება ჩვეულებრივი საცხოვრებელი სახლებისაგან.

მუშას, მოსამსახურეს ხალისიანი გუნება-განწყობილება რომ შეეუქმნათ, უნდა ვიზრუნოთ იმისთვისაც, რომ შრომის შემდეგ მათ მიიღონ ადეკვატური ენერგია. ჩვენს საამქროებში გვაქვს ქალთა და მამაკაცთა საშხაპეები, საუნა, მათვე ემსახურება რამდენიმე საკურორტო აუზი, მაგრამ ამ ადგილებზე საშუალება შეიძინონ ვიარფასი ტყავ-საგალანტერეო საქონელი, ვიდეოტექნიკა, პარფიუმერია, კულტსაქონელი და ა. შ., რომელიც უცხოეთის ცნობილი ფირმებიდან შემოგვაქვს, სანაცვლოდ კი ვაძლევთ გეგმის გადამეტებით წარმოებულ თუჯს, მილნამზადს და ა. შ. წელს უკვე შემოვიტანეთ ორ მილიონამდე მანეთის საქონელი, ახლა ველით კიდევ ახალ პარტიას. ჩვენი შრომითი კოლექტივის თითოეულ წევრს ახლა ქარხნიდან გაუსვლელად შეუძლიათ შეუკვეთონ და შეიძინონ ფეხსაცმელი და ტანსაცმელი, ისარგებლონ საპარიკმახაროებით, სანიტარიული მომსახურების სიკეთით. ქარხნის სამედიცინო-სანიტარიული ნაწილი კი ერთ-ერთი საუკეთესოა არა მარტო ჭალაში, არამედ მის ფარგლებს გარეთაც, აქ დამონტაჟებულია თანამედროვე სამედიცინო ტექნიკა, გვყავს კვალიფიციური სპეციალისტები. ყოველწლიურად ასობით მეტალურგი იკაჟებს სხეულს ქარხნის სანატორიუმ-პროფილაქტორიუმში, რომელიც იაღლუჯის მთაზეა აგებული.

ქარხნის მშრომელთა ჯანმრთელობის გაუმჯობესებისაკენ ზრუნვა მარტო ამით რადი ამოიწურება. ყოველწლიურად ვიღებთ პროფკავშირულ საგზურებს. ბოლო სამ წელიწადში სანატორიუმებში, დასასვენებელ სახლებსა და პანსიონატებში ასეთი საგზურებით დაისვენა 2500-მდე შრომელმა. მაგრამ გამოყოფილი საგზურების რაოდენობა ვერ აკმაყოფილებს ქარხნის მშრომელთა მოთხოვნილებას, მინიმუმსაც კი, განსაკუთრებით ზაფხულის პერიოდში. ქარხნის დირექციამ შექმნილი მდგომარეობიდან ერთ-ერთ სწორ გამოსავალს მიაგნო — დაიწყო უწყებრივი სანატორიუმების მშენებლობა-რეკონსტრუქცია.

შეიქმნა ქარხნის დემოკრატიული საზოგადოების საქველმოქმედო ფონდი; იგი დახმარებას გაუწევს მრავალშვილიან ოჯახებს, დახმარება გაიცემა დიასახლისებზე, ახალგაზრდა ოჯახებზე, მრავალშვილიანი ოჯახები შეღავათიანი რიგით შეიძენენ მსუბუქ ავტომანქანებს. დეფიციტურ იმპორტულ ავეჯს და სხვა საქონელს, მიიღებენ სანატორიუმებია, დასასვენებელი სახლებისა და ტურისტულ საგზურებს, ურიგოდ გამოეყოფათ მიწის ნაკვეთი და შეღავათიანი კრედიტები ინდივიდუალური ბინათმშენებლობისათვის, მეგობრეობის ამხანაგობებში — მიწის ნაკვეთები. მშობლებს, რომლებიც: მუშაობენ ქიმსაქიმიურ, საადგილმერეკიო, ბრამშედის, მარტენის, მილსაგლინავ, ცხვა საამქროებსა და ცალკეში იწვევთ ყოველთვიური მატერიალური დახმარება — სამშვილიანებს, — 50, ოთხშვილიანებს — 75, ხუთ-და მეტშვილიანებს თვეში 100 მანეთის ოდენობით.

გაწეული დიდი მუშაობის მიუხედავად ქარხნის სოციალური სფეროს განვითარებაში შაინც საკმაოდაა სერიოზული ნაკლოვანებანი. არასაკმარისი მუშაობა გაწეული შრომისა და ახალფაურების პროგრესული ფორმების დანერგვისათვის. ნაკლები ყურადღება ექცევა საამქროებში ბრიგადული იჯარის დანერგვას, მეტალურგიულ და საგლინავ მოწყობილობათა შემკეთებელ საამქროებში ფორმალიური ხასიათისაა შრომითი მონაწილეობის კოეფიციენტის გამოყენება.

ჯერ კიდევ არადამაკმაყოფილებელია შრომის დაცვის მდგომარეობა. შარშანდელთან შედარებით შემცირდა ტრავმების რიცხვი, მაგრამ გაიზარდა სასიკვდილო და მძიმე ტრავმების შემთხვევები, არასაკმარისი მუშაობა მიმდინარეობს ქარხანაში ქალთა შრომისა და ყოფის პირობების გაუმჯობესებისათვის. მძიმე და მავნე სამუშაო ადგილებზე ცვლავაც მუშაობს 531, ღამისა და საღამოს ცვლაში — 778 ქალი. მეტი ყურადღება უნდა მიექცეს ინვალიდთა შრომით მოწყობას, მკვეთრ გაუჯობესებას საჭირობს მასობრივ-სპორტული აქმიანობა და ა. შ.

ახლახან გამართულ ქარხნის პროფკავშირულ კონფერენციაზე გავაანალიზეთ გაწეული მუშაობა, აღვნიშნეთ, რომ იგი სავსებით არ არის დამაკმაყოფილებელი, გასაკეთებელი გაცილებით მეტი გვაქვს, უფრო ახლოს უნდა მივიდეთ ადამიანებთან, შრომითი კოლექტივის თითოეულ წევრთან. ასეთია ამჟამად ჩვენი ამოცანა.

თამაზ მაკასარაშვილი,
რუსთავის მეტალურგიული ქარხნის პროფკავშირული ორგანიზაციის კომიტეტის თავმჯდომარე.

ჭკვილი და იმედები...

ბოდბლიოს ყველა ხალხს თავისი ნიშანდობლივი, ძველ-რბილში გამჯდარი თვისება აქვს. ახალს არაფერს ვიტყვი — ქართველებს, მუდამ რომ გვეამაყებოდა და რითაც თავი მოგვეწონდა, ზომასგადაცილებული, მოთხოვნილებად ქცეული სტუმართმოყვარეობა გვაქვს. დღეს, სწორედ ეს თვისება გაგვიხდა თავშისაცემად. საქართველოს სხვადასხვა კუთხეში ჩვენი გულკეთილობითა თუ დოყლაპიობით შემოსული გადამთიელი მამა-პაპათა ნაფუძარზეც აღარ გვიშვებს, გვერეკება, შეურაცხყოფას გვაყენებს, ფიზიკურად გვისწორდება. მორალურად გვთელავს. ხმას თუ ამოვიღებთ — რა ეპითეტით არ შეგვამკობენ! კაციჭამიებად დაგვაბავენ და მსოფლიოს მოსდებენ ცრუ და მავნე მონაჭორს...

...ცოტა ხნის წინ მოსკოვში გახლდით. ჩემი პირადი საქმე ჰქონდა ოსტანკინოში, ცენტრალური ტელევიზიაში. იქიდან გამოსულს ასეთი სურათი დამხვდა: ორმოცდაათამდე კაცი შეკრებილიყო ცენტრალურ შესასვლელთან, ხმამაღალი მოთქვამდნენ და პლაკატები ჰქონდათ აღმლილი. აი მათი შინაარსიც: „ალაგეთ ქართველი ეფსტრემისტები“, „ვითხოვთ სამხრეთ ოსეთში ჯარების შემოყვანას“, „ქართველმა ტერორისტებმა ოთხმოცი ოსი მოქალაქე მოკლეს“ და ა. შ. ტელევიზიის თანამშრომლებმა მითხრეს, ოსეთში აქციების დაწყებას ორიოდე დღით ადრე, როგორც წესი, მოსკოვში ასეთი „დემონსტრაციები“ უსწრებს და ეს პირველი შემთხვევა არ არისო.

დამაინტერესა, რატომ მაინცდამაინც ოთხმოცი კაცი „მოუკლავთ“ ქართველებს? ეს ციფრი ხომ სხვადასხვა დროსა და სწვადასხვა რეგიონში წამოყოფს ხოლმე თავს? თურმე ნუ იტყვით: თუ ოთხმოცი კაცი დაიღუპა, საქმის გამოძიებაში გაერთიანებული ერების ორგანიზაცია ერევა და თავის მფარველობის ქვეშ აპყავს „დაჩაგრული“ ერი. ხედავთ? ჩვენ არ ვიცოდით და თურმე ასე ყოფილა საქმე! ამაზე უნამუსო და პროვოკაციული ჭორი ძნელი წარმოსადგენია. ეს იყო შაბათს, ოცდასამ ნოემბერს. მერე კი აქ, შიდა ქართლში დაიწყო...

ვიდრე მოკლედ მოგახსენებდეთ, როგორ ვითარდებოდა მოვლენები, მინდა აღვნიშნო, რომ მიუხედავად ჩვენი ყბადაღებული ძმობისა და ხალხთა მეგობრობისა, ამ კუთხეში დიდი ხანია მწიფდებოდა ქართველ და ოს მოსახლეობას შორის კონფლიქტი, რომლის დანახვა და ფესვების პოვნა არ შეეძლოთ ან არ უნდოდათ დაენახათ, ვისაც ეს მოეთხოვებოდა. ქართველი მოსახლეობა, სხვადასხვა მიზეზით, უმცირესობაში აღმოჩნდა, დაკარგა მიწები, ხელმძღვანელი თანამდებობები, დისკრიმინირებული მდგომარეობა მიიღო. ამან, რა თქმა უნდა, შვა უკმაყოფილება. ქართველთა უკმაყოფილებამ ოსთა უკიდურეაქცია გამოიწვია, და დაირხა ხმა, ქართველებს ჩვენი განდევნა უნდათო. ჩვენ ხომ ასე ვიცით — ოღონდ სხვამ დაჩაგრულად არ იგრძნოს თავი და... ასეა თქვენ ავტონომია, აბა თქვენ სკოლები, აბა თქვენ უმაღლესი სასწავლებელი, აბა თქვენ კლუბი დაწესებულებები, თეატრი, პრესა, რადიო, თანამდებობები. ბოლოს, ერთმა ყოფილმა, ძალზე დიდმა თანამდებობის პირმა ქვემო ქართლში, კერძოდ მარნეულში ქართველებს უსაყვედურა, მათ თუ არ სურთ ქართულად ლაპარაკი, აზერბაიჯანულად ილაპარაკეთ, ძმობა ეს იქნებაო!!!

შიდა ქართლში კი კვლავ დაძაბული ვითარებაა. ქართველობა ცდილობს საერთო ენა გამონახოს ოსებთან. ცოდვას ნუ ვიქმთ — ოსთა შეგნებული ნაწილიც ამისაკენ მიილტვის. მობეზრდა ხალხს ფანატიზმი, შუღლი, უნდობლობა, ჭორი, მტრობა. ხალხს ღიმილი უნდა, შრომა, სიყვარული, ჭეშმარიტ ეროვნულ სიარული, ქორწილები უნდა ხალხს, გამრავლება, ბედნიერება, საკუთარ სახლში ამაყად, დაუმცირებლად სიარული... რა თქმა უნდა, ყველაფერი ეს ახლო მომავალში იქნება. მანამდე კი... თამარაშენში, სასაფლაოზე დაუნდობლად, მუხანთურად მოკლეს ჩვიდმეტი წლის ვეფხი თეთარაშვილი. შურისძიების მიზნით ცემით ამოხადეს სული თბილისში.

ორიოდე ამ საქმეს იძიებს რესპუბლიკის პროკურატურის განსაკუთრებულ მნიშვნელოვან საქმეთა გამომძიებელი ვიორგი არსენიშვილი. მე მას სამჩაბლოში შევხვდი. აი რა მიამბო:

...ცხინვალში, პროკურატურაში მივდიოდი მანქანით. შუადღე იყო. ცხინვალის შესასვლელში ოსთა პიკეტს გადავეყარე. მიცნეს და მანქანიდან გადმოორევა დამიპირეს. თავს ვუშველე და ცხინვალისაკენ სწრაფად წავედი. დამედევნენ. ძლიერ შეეშალენ პროკურატურის შენობაში. ჩემი მანქანის ოთხივე სატორავი დაჭრეს, წიხლებით დამიჯყლიტეს მანქანა. ქუჩიდან მოკლეთ შემოკრებოდნენ. როდესაც დაიშალნენ, მილიციის ერთ-ერთ მუშაკს შევჩივლე, სატორავები სად ვიშოვნო-მეთქი. ციინკურად მიპასუხა — საბურავები აღარ დაგჭირდება, ცოცხალი ვეღარ გადარჩებიო. ამ მილიციელს სახეზე კარგად ვიცნობ...

პიკეტებს მართავენ ოსები. პიკეტებს მართავენ ქართველები. ჩხრეკენ ხალხს, მანქანებს, ტვირთს. და ყოველივე ეს ხდება დამამცირებელი, შეურაცხმყოფელი ფორმით, ხშირად ძალადობითაც. მართალია, ბოლო ხანს პიკეტების რიცხვმა და სხვადასხვა ჯგუფების უკანონო და აღვირახსნილობა მოქმედებებმა იკლო, მაგრამ სრულ სიმშვიდემდე ჯერ, ვგონებ, შორსაა. საჭიროა რადიკალური ზომები. ხომ ვხედავთ, მარტო „შენი ჭირიმე, დაწყნარდის“ ძახილით არაფერი გამოდის. თავგასულს უფრო თავს გაუდის, შეშინებულს ლოთ მათი შესაძლებლობებით და უვნებელი გავხადოთ მავნე ორგანიზების წინააღმდეგ ბრძოლა.

ამ სისტემაში ქიმიის გვერდით უნდა იდგეს მცენარეთა დაცვის ბიოლოგიური მეთოდები. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ როდესაც ბიოლოგიური მეთოდების გამოყენებაზე ვმსჯელობთ, არც ამ შემთხვევაში უნდა გადავვარდეთ უკიდურესობაში და არ ჩავთვალოთ, თითქოს ეს მეთოდები ყოვლად უვნებელია მიუხედავად იმისა, თუ როგორ და რახანირად გამოვიყენებთ. როგორც ქიმიის საშუალებების, ისე ბიოლოგიური მეთოდების გამოყენების დროსაც უდიდესი სიფრთხილეა საჭირო.

როგორც ცხობილი, მცენარეთა დაცვის ღონისძიებების განხორციელება მიზანშეწონილია მხოლოდ მაშინ, როდესაც მოსავლის დაკარგვის საშიშროება გვემუქრება. იმის განსაზღვრისათვის, კონკრეტულ შემთხვევაში საჭიროა თუ არა ბრძოლის ქიმიური მეთოდის გამოყენება, ჯერ ერთი, აუცილებელია ვიცოდეთ საჭირო დანახარჯთა მოცულობა, მეორე, იმ ზარალის მაქსიმუმი, რომელიც შეიძლება მიაყენოს მეურნეობას მწერმა, მღრღნელმა, სოკომ, სარეველა ბალახმა თუ სხვა მავნე ორგანიზმმა, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ბრძოლის ქიმიური საშუალებები უნდა გამოვიყენოთ მაშინ, როდესაც ეს ეკონომიკურად არის გამართლებული, როდესაც მათი გამოყენება ეკონომიკურ ეფექტს მოგვცემს.

დღეს სოფლის მეურნეობაში ქიმიური პრეპარატების გამოყენების დამკვიდრებულ პრ

ნაცნობი ხმა ფრანგულ ენაზე. ყველაფერი თითქოს ძველებურადაა, მაგრამ საუბრის შინაარსი განსხვავებული. ლეგენდარული პიროვნება, მსოფლიოს ექსპერტი ჭადრაკში, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი ბიჭელ ბოტვინიკი ჩვენი სიფიცრითა და გონებამახვილობით მოკვეთხრობს ამის შესახებ, რაც დღეს ხდებოდა ჭადრაკის და ჩვენს საზოგადოებას სიერთოდ.

— თქვენ საკმაოდ განიცადეთ, რომ უარს ამბობთ სხვ კავშირის საჭადრაკო ფედერაციის პრეზიდიუმის წევრობაზე...

— ეს მოხდა იმასთან დაკავშირებით, რომ პეერტო-რიკოში საერთაშორისო საჭადრაკო ფედერაციის გენერალურ ასამბლეაზე ჩემი გამგზავრების წინ პრეზიდიუმმა მისი თავმჯდომარის ვ. სევასტიანოვის თანხლებით ეარი თქვა მსოფლიოს პირველობაზე შეჯიბრების ჩატარების ახალი წესების ჩემეულ პროექტზე და თაქტობრივად მხარი დაუჭირა ლევ პოლუგაევსკისა და ვასილ სმისლოვის ალტერნატიულ პროექტს. ამრიგად, მე ჰაერში გამოკიდებული ალმოვჩნდი და თანაც მიველი დასკვნამდე, რომ სსრ კავშირის საჭადრაკო ფედერაციის პრეზიდიუმში გასავალი აქვს ჯგუფურ ინტერესებს. სწორედ ამიტომ გადავწყვიტე მისი შემადგენლობიდან გამოსვლა.

**—

ᲨᲝᲠᲘᲡ ᲡᲐᲛᲨᲝᲒᲚᲝᲓᲐᲜ

ᲐᲠᲘᲐᲜ ᲛᲝᲛᲦᲕᲐᲬᲔᲜᲘ, ᲡᲘᲪᲝᲪᲮᲚᲘᲡᲨᲘᲜᲐ ᲠᲝᲛ ᲛᲘᲘᲦᲔᲑᲔᲜ ᲓᲐᲤᲘᲜᲘᲡ ᲒᲐᲜᲪᲓᲘᲡᲗᲕᲘᲡ, ᲨᲔᲛᲙᲚᲘᲐᲜ ᲑᲝᲚᲝᲛᲓᲔ ᲛᲘᲯᲚᲘᲗ ᲗᲐᲜᲐᲛᲔᲓᲠᲝᲕᲔᲓᲘᲡ ᲡᲘᲧᲕᲐᲠᲣᲚᲘ, ᲞᲐᲢᲘᲒᲝᲜᲘᲡᲪᲔᲡᲐᲗᲕᲘᲡ. ᲖᲝᲒᲘᲐᲪ ᲩᲣᲛᲘᲗ, ᲣᲨᲘᲐᲠᲝᲠᲘᲗ ᲒᲘᲒᲘᲚᲘᲡ ᲑᲝᲚᲝᲛᲓᲔ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲘᲡ ᲯᲠᲘᲡ, ᲙᲐᲚᲘᲡ ᲙᲘ ᲡᲐᲠᲘᲜᲝᲡ ᲡᲢᲝᲕᲠᲔᲑᲘ, ᲘᲡᲔᲗᲘᲡ ᲠᲘᲪᲮᲕᲘᲗ ᲛᲘᲦᲔᲣᲚᲘ ᲚᲔᲜᲘᲜᲣᲠᲘ ᲞᲠᲔᲛᲘᲘᲡ ᲚᲐᲣᲠᲔᲐᲢᲘ, ᲢᲠᲘᲒᲕᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲡᲬᲐᲠᲛᲝᲑᲘᲡ ᲓᲝᲥᲢᲝᲠᲘ, ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲐᲚᲐᲮᲐᲖᲨᲕᲘᲚᲘ.

ᲐᲓᲠᲔ წავიდა საქართველოდან, თანაც საოცრად მოკრძალებული კაცი იყო, ამიტომ ნაკლებად იცნობდნენ. მხოლოდ თანამემამულეებმა — ქუთაისელებმა იცოდნენ, რომ მათთან ცნობილი მშენებლის ნიკოლოზის და ეკონომის ბესიკის უმცროსი ძმა გიორგი, რომელმაც წარმატებით დაამთავრა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი და შემდეგ ასპირანტურა, მოსკოვში წავიდა სამუშაოდ.

მაგრამ მანამდე იყო ომი, გიოროგოვეცის სამხედრო აკადემიის დამთავრების შემდეგ მოქმედ არმიაში იმსახურა ჯერ ბალტიისპირეთში, შემდეგ კი ჩრდილო-დასავლეთის ფრონტზე მსროლელი დივიზიის ქიმიური სამსახურის უფროსად.

პოლკოვნიკის წოდებით, მრავალი ორდენითა და მედლით დაჯილდოებული დაბრუნდა და მოსკოვში „მთავარქალაქმშენის“ უფროს მეცნიერ-მუშაკად დაიწყო მუშაობა. მისი შემწე ნიჭი, შრომისმოყვარეობა და წიგნი იყო, რამაც ფართო ასპარეზი გადაუშალა სამეცნიერო სარბიელზე. მერე სულ წინ და წინ იარა — იყო საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ქიმიურ-ტექნოლოგიური ინსტიტუტის მეცნიერი მუშაკი, ლაბორატორიის უფროსი, განყოფილების ხელმძღვანელი. წარმატებით დაიცვა ჯერ საკანდიდატო, ხოლო შემდეგ სადოქტორო დისერტაციები.

ლენინური პრემიის ლაურეატი, აკადემიკოსი ბორის ლასკორინი წერდა: „არის შემთხვევები, კაცი შორიდან მომხიბვლელად გამოიყურება, საჯაროდ მისი გამოსვლა კარგ შთაბეჭდილებას ტოვებს, მაგრამ ახლოს სხვაგვარი აღმოჩნდება. გიორგი ალხაზიშვილი პირიქით იყო. მასთან ურთიერთობაში მოხიბლული ვიყავი მისი ღრმა ადამიანური სითბოთი, მოკრძალებით, თანდაყოლილი გონიერებით, შეფასების იშვიათი ნიჭით, განსახილველი საგანთა და მოვლენათა შორის ძირითადის, გადამწყვეტის გამოყოფის განსაკუთრებული უნარით“.



გიორგის უბადლო ტალანტმა და გასაოცარმა ენერგიამ მალე მოუხვეჭა თავის წრეებში სახელი. იგი უშუალოდ ხელმძღვანელობდა სხვადასხვა მადნეულის კომპლექსური გადამუშავების ურთულეს პროცესებსა და ახალი საწარმოების ათვისებასა და ამუშავებას. განსაკუთრებით გამოიჩინა თავი გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში, სადაც მის მიერ დამუშავებული ოქმები საფუძვლად დაედო ერთ-ერთ ახალ საწარმოს შექმნას.

1966 წელს მძლავრი ნედლეულის ბაზის შექმნისა და ნედლეულის გადამუშავების ტექნოლოგიის ძირეული გაუმჯობესებისათვის გიორგი ალხაზიშვილს ლენინური პრემიის ლაურეატის წოდება მიენიჭა.

გიორგისთან პირველსავე შეხვედრისას გოცებდათ მისი მეცნიერული და კულტურული ინტერესების ფართო დიაპაზონი; დილეტანტობის ნიშანწყალი არ ეტყობოდა. ამავე დროს ყოველ მის მსჯელობაში ჩანდა არა მარტო უზადო ნიჭი და იდეალური პრინციპულობა, არამედ ზნეობრივი სისპეტაკეც. ლენინური პრემიის ლაურეატის სამკერდე ნიშანს არასოდეს იკეთებდა. ერთხელ, რუსთაველის საიუბილეო დღეებში საქართველოში ჩამოსულმა, ოფროსი ძმების დაკინებული თხოვნით გაიკეთა. თეატრის ვესტიბიულში მდგომს ასევე მოსკოვიდან ჩამოსული მწერალი ნიკოლოზ გრიბაჩოვი მიუახლოვდა ღიმილით: „დიდი ჯილდო კი დაგიმსახურებია, მაგრამ რომელ მხარეზე უნდა გაიკეთოთო, ეს ვერ გაგიგია“, და თავისი ხელით გადაუტანა სამკერდე ნიშანი მეორე მხარეზე...

გიორგი ალხაზიშვილი გარდაიცვალა 1980 წელს მოსკოვში, დაკრძალულია იქვე. სამგლოვიარო მიტინგზე გამოსულებმა ღრმა გულისტკივილით ილაპარაკეს მეცნიერის ნაადრევ გარდაცვალებაზე, რადგან მას ბევრი ჩანაფიქრი დარჩა განსახორციელებელი.

დაბოლოს: სასურველია გიორგი ალხაზიშვილის სახლს, რომელშიც მეცნიერი დაიბადა, გაუკეთდეს მემორიალური დაფა.

ᲒᲘᲖᲘ ᲛᲔᲤᲘᲡᲐᲨᲕᲘᲚᲘ.

ᲒᲝᲠᲝᲢᲚᲐ ᲡᲚᲘᲐ ᲙᲔᲗᲘᲚᲛᲐᲜ...

ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘ სიკეთისათვის არის გაჩენილი, მაგრამ, სამწუხაროდ, სადაც სიკეთეა, იქ ბოროტებაც ბუდობს.

ადამიანთა მოდგმის ისტორიაში ზოგჯერ ისეთი ხანაც დგება ხოლმე, როცა ბოროტება ერთობ მძლავრობს.

ასე იყო ძველ იუდეაში 1990 წლის წინათ: კაცთმოძულეობამ და უმეცრების წყვდიადმა დაბნელა და დაამდაბლა ადამიანი, თითქოს აღარ ჩანდა ხსნის გზა.

და ამ დროს კაცობრიობას ნათლის სვეტად მოევლინა იესო ქრისტე თავისი ამაღლებული მცნებებითა და ჭეშმარიტებით. მან ჩააგონა ადამიანს, რომ იგი სიკეთისთვისაა გაჩენილი.

ამას მოგვითხრობს რელიგიის ისტორია და ამას ვიხსენებთ დღეს, როცა ქართული და საერთოდ მართლმადიდებელი ეკლესია დღესასწაულობს შობას, შობას უფლისა ღმერთისა და მაცხოვრისა.

ეს არის ის, რაც ადამიანში ადამიანურობას განადიდებს, ჭეშმარიტების ნათლითაა მოცული.

ᲧᲕᲔᲚᲐ ᲣᲜᲓᲐ ᲒᲕᲘᲧᲕᲐᲠᲓᲔᲡ!

ᲔᲡ იყო ჩვეულებრივი ნაძვის ხე ტრადიციული თოვლის ბაბუათი. უჩვეულონი იყვნენ სტუმრები — გონებრივად ჩამორჩენილი ბავშვების № 1 დამხმარე სკოლის მოსწავლეები.

რესპუბლიკის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის ცნობილი სარკეებიანი დარბაზი, რომელსაც ბევრი სტუმარი უნახავს, ამ დღეს განსაკუთრებულად გამოიყურებოდა — ძალ-ღონე არ დაუზუგრებიათ ამისათვის სასახლის მოწყალებისა და ჯანმრთელობის რესპუბლიკური ფონდის, საქართველოს სახალხო განათლების სამინისტროს მუშაკებს. სიხარულით იყო გასხივოსნებული არა მარტო ბავშვების, არამედ მათი მშობლების სახეებიც. ხუთი წლის შორინა მ-ს დედამ აღიარა:

— ნეტა ხშირად იყოს ასეთი დღესასწაულები. ჩემი გოგონა პირველად როდია ნაძვისხეზე, მაგრამ ასეთი სიცოცხლით სავსე და აქტიური ჯერ არ მინახავს...

— ეს გასაგებია, — თქვა სკოლის დირექტორმა ვახტანგ ქორდანიამ, — აქ ზომ თითოეული ბავშვი მეგობრების წრეშია, თავისუფლად გრძნობს თავს. ეს მათთვის დიდი ბედნიერებაა. ასეთი ყურადღებით და პატივისცემით, უნდა გამოგიტყდეთ, ხშირად როდი გვანებივრებენ.

დარბაზის ფოიეში ბავშვებს ელოდა საჩუქრები, რომლებიც შეიძინა მოწყალებისა და ჯანმრთელობის დაცვის ფონდმა: ნაირფერი სათამაშოები და კანფეტებიანი პარკები.

— ამ სკოლაზე შეფობა ოფიციალურად ჯერ არ დაწყებულა, — თქვა ფონდის განყოფილების გამგემ მერი ჭილაშვილმა. — ეს აქცია, ვიმედოვნებთ, დასაწყისი იქნება, ყველას კიდევ ერთხელ შეგვახსენებს, რომ საზოგადოებაში არ შეიძლება იყოს საყვარული და მოძულებული ბავშვები.

გულისამაჩუყებელი სანახაობა იყო, როცა პატარები წამყვანთან ერთად იმეორებდნენ სადღეასაწაულო ცეკვის მარტივ სვლებს. რა თქმა უნდა, სასახლის ქორეოგრაფიული ანსამბლის მოცეკვავეებს, რომლებმაც სტუმრებისთვის პატარა კონცერტი გამართეს, ისინი ვერ შეედრებიან, მაგრამ ვინ იცის, იქნებ ამ სალამოს სითბომ და სიყვარულმა რომელიმე მათგანში ღვთიური ნაპერწკალი ააგიზგიზოს...

(ᲡᲐᲥᲘᲜᲤᲝᲠᲛᲘᲡ).

ᲡᲣᲠᲐᲗᲘᲗ: ᲡᲐᲐᲮᲐᲚᲬᲚᲝ ᲓᲦᲔᲡᲐᲡᲬᲐᲣᲚᲘ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲞᲘᲝᲜᲔᲠᲗᲐ ᲓᲐ ᲛᲝᲡᲬᲐᲕᲚᲔᲗᲐ ᲡᲐᲡᲐᲮᲚᲘᲡ ᲡᲐᲠᲙᲔᲔᲑᲘᲐᲜ ᲓᲐᲠᲑᲐᲖᲨᲘ.

ᲡᲐᲥᲘᲜᲤᲝᲠᲛᲘᲡ ᲤᲝᲢᲝ.

ᲞᲐᲢᲐᲠᲔᲑᲘ ᲒᲐᲐᲮᲐᲠᲔᲡ

ᲥᲐᲠᲔᲚᲘ. („კომუნისტის“ საკ. კორ.). საახალწლო ნაძვის ხე აბრჭყვიალდა ფცის საბავშვო ბაღში, რომელიც ამ დღეებში გადაეცა საექსპლოატაციოდ. იგი ფცის საბჭოთა მეურნეობის (დირექტორი — თ. თხელიძე) საახალწლო საჩუქარია ბავშვებისათვის.

ბაღი მეურნეობის სახსრებით აიგო, იგი 140 ათასი მანეთი დაჯდა. მეურნეობამვე იზრუნა ინვენტარის შეძენისთვისაც.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲨᲘᲜᲐᲒᲐᲜ ᲡᲐᲥᲛᲔᲗᲐ ᲡᲐᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲝ ᲒᲕᲐᲤᲧᲝᲑᲘᲜᲔᲑᲡ

5 ᲘᲐᲜᲕᲐᲠᲘ ბოლნისის რაიონის სოფელ ქოჩულოში მხატვრული კინოფილმის გადაღებების დროს მოხდა ინციდენტი ადგილობრივ მცხოვრებლებსა და კინოსტუდია „ქართული ფილმის“ გადამღები ჯგუფის წევრებს შორის. კონფლიქტის მიზეზი გახდა ის გარემოება, რომ ეპიზოდის გადაღება წარმოებდა აზერბაიჯანული სასაფლაოს ტერიტორიაზე, ეს კი სოფლის მცხოვრებლებმა წმინდა ადგილის შებილწვად მიიჩნიეს. ჯგუფური ჩხუბის შედეგად დაშავდა რამდენიმე კაცი, რომლებსაც საჭირო სამედიცინო დახმარება გაუწიეს.

საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტრომ ოპერატიულ ღონისძიებებს მიმართა ინციდენტის ადსაკვეთად. ბოლნისის რაიონში საზოგადოებრივი წესრიგის დასაცავად გაიგზავნენ მილიციის დამატებითი ძალები, ადგილზე მივლინებული არიან სამინისტროს პასუხისმგებელი მუშაკები.

ამჟამად ვითარება რაიონში სტაბილიზებულია. მიმდინარეობს გამოძიება ბრალეულთა გამოსავლენად და პასუხისგებაში მისაცემად.

ამავე დროს საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტრო ხელმძღვანელობს რა ამ ბოლო დროის ამბების ანალიზით, გამოთქვამს იმედს, რომ სისხლის სამართლის დანაშაულებს, რომლებიც, სამწუხაროდ, რესპუბლიკაში ხდება, შემდგომში არ აღიქვამენ ეროვნებათშორის კონფლიქტებად, რასაც, ჩვეულებრივ, თან სდევს ხოლმე ემოციების მეტისმეტი გამძაფრება. აქედან გამომდინარე ყველა არასასურველი შედეგი.

საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტრო ამ რთულ პერიოდში დაბეჯითებით მოუწოდებს რესპუბლიკის ყველა მოქალაქეს, ნუ აჰყვებიან ჭორებს, პროვოკაციებსა და ემოციებს, იმოქმედონ თავშეკავებულად.

საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს პრესცენტრი.

რედაქტორის მოადგილე მ. უბრეხელიძე.

1982 ᲬᲚᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲨᲘᲜᲐᲒᲐᲜᲘ ᲛᲝᲛᲒᲔᲑᲘᲐᲜᲘ ᲡᲔᲡᲮᲘ

ქალაქ მოსკოვში 1989 წლის 30 დეკემბერს გამართულ 9-ე მოგებათა ტირაჟის ᲝᲤᲘᲪᲘᲐᲚᲣᲠᲘ ᲪᲮᲠᲘᲚᲘ.

მოგები ხვდა სესხის ორმოცდაშვიდივე თანრიგის სერიებისა და ობლიგაციების შემდეგ ნომრებს:

სერიის №	ობლიგაციის №	მოგების მანეთობით	სერიის №	ობლიგაციის №	მოგების მანეთობით	სერიის №	ობლიგაციის №	მოგების მანეთობით
200982	1—100	100	228004	1—100	100	260294	1—100	100
201082	1—100	250	228232	1—100	100	260383	096*)	500
201596	055*)	1000	228253	1—100	250	260589	1—100	250
201629	1—100	100	228833	056*)	500	260962	061*)	1000
201916	001*)	500	229360	1—100	250	260971	058*)	1000
201939	1—100	250	229529	030*)	1000	261936	1—100	100
202088	1—100	100	229970	087*)	500	261965	006*)	1000
202123	023*)	500	232929	054*)	500	263039	013*)	1000
202283	1—100	250	233565	084*)	1000	263152	1—100	100
202690	1—100	250	233597	060*)	1000	263166	100*)	1000
202762	085*)	1000	233739	048*)	500	263233	056*)	2500
203582	048*)	2500	234195	1—100	100	263530	1—100	100
203676	097*)	500	234246	1—100	100	263583	013*)	1000
204430	021*)	2500	234422	1—100	100	264217	1—100	250
205370	033*)	1000	234991	1—100	250	264945	060*)	1000
205427	004*)	1000	235008	031*)	2500	265232	034*)	500
205843	062*)	1000	235860	091*)	2500	265959	1—100	500
206515	074*)	500	236268	028*)	2500	267587	1—100	100
207417	1—100	100	236277	024*)	500	268425	044*)	1000
208082	1—100	100	238902	1—100	250	268438	083*)	500
208431	1—100	100	239372	021*)	500	268697	1—100	100
208616	040*)	500	240560	092*)	1000	269168	073*)	500
209525	044*)	1000	240742	1—100	250	270107	072*)	1000
210576	019*)	1000	241382	068*)	500	270522	1—100	100
211522	020*)	500	241721	033*)	2500	270751	054*)	500
212103	057*)	500	242155	004*)	2500	271961	1—100	250
212159	080*)	1000	243006	002*)	500	272998	002*)	1000
212480	1—100	100	243371	012*)	500	273085	091*)	500
213093	007*)	1000	243428	065*)	2500	274216	017*)	1000
213137	025*)	1000	243709	1—100	100	274628	1—100	250
213438	1—100	100	246290	059*)	2500	274893	1—100	100
213462	025*)	2500	246763	1—100	100	275011	1—100	100
214083	1—100	100	247221	1—100	100	275292	008*)	5000
214289	1—100	100	247433	1—100	100	276540	073*)	2500
214336	070*)	500	247473	047*)	500	278788	1—100	250
214496	020*)	1000	247665	056*)	5000	279807	1—100	100
214844	079*)	1000	248045	099*)	5000	280266	1—100	100
216900	1—100	250	248506	097*)	1000	280346	006*)	1000
217449	084*)	500	248748	068*)	2500	280488	1—100	250
217786	1—100	100	249330	037*)	500	280603	090*)	500
218489	073*)	10000	249748	055*)	500	281012	011*)	500
218719	030*)	2500	250592	045*)	500	281678	041*)	2500
218750	046*)	1000	250893	083*)	500	281935	095*)	500
218900	082*)	1000	251284	080*)	500	282112	019*)	1000
219471	1—100	100	251830	1—100	250	282572	1—100	100
220028	029*)	1000	252013	1—100	100	283367	1—100	250
220094	1—100	250	252890	1—100	250	283903	022*)	1000
220667	039*)	2500	253102	038*)	1000	284262	005*)	500
220805	087*)	500	253523	024*)	1000	285182	032*)	1000
221644	063*)	500	253735	092*)	500	286580	089*)	500
222068	082*)	500	254225	059*)	1000	286807	1—100	250
222259	004*)	500	254238	059*)	2500	287161	1—100	250
222656	044*)	1000	254581	017*)	1000	288373	008*)	500
222734	086*)	500	255328	1—100	250	288536	048*)	1000
222805	019*)	1000	255427	1—100	100	288537	024*)	500
223057	1—100	250	255638	041*)	1000	290734	058*)	1000
223303	1—100	100	255862	1—100	250	291046	012*)	1000
224546	007*)	2500	255972	1—100	100	291137	1—100	100
224967	081*)	5000	256032	026*)	500	292639	013*)	500
225417	075*)	500	256104	084*)	1000	292672	069*)	500
225466	1—100	100	256333	100*)	500	293232	002*)	2500
225835	001*)	1000	256849	070*)	1000	294077	083*)	1000
225986	061*)	1000	257082	083*)	1000	294481	1—100	500
226323	008*)	500	257205	051*)	1000	295905	013*)	1000
227190	1—100	100	257253	100*)	1000	296853	1—100	100
227845	1—100	100	259380	091*)	500	297188	003*)	1000
			260143	026*)	2500	299806	046*)	5000

*** ᲐᲛ ᲡᲔᲠᲘᲘᲡ ᲝᲑᲚᲘ�გᲐᲪᲘᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲜᲐᲠᲩᲔᲜ 99 ᲜᲝᲛᲔᲠᲘ ᲰᲥᲓᲐ 100 ᲛᲐᲜᲔᲗᲘ ᲗᲘᲗᲝᲗᲝᲗᲣᲚᲘ.**

ᲪᲮᲠᲘᲚᲘᲡ ᲜᲐᲩᲕᲔᲜᲔᲑᲘᲐ ᲝᲠᲛᲝᲪᲓᲐᲝᲗᲛᲐᲜᲔᲗᲘᲐᲜᲘ ᲝᲑᲚᲘ�გᲐᲪᲘᲔᲑᲘᲡ ᲛᲝᲒᲔᲑᲘ. ᲐᲡᲘᲐᲜᲔᲗᲘᲐᲜ ᲝᲑᲚᲘᲗᲔᲑᲘᲡ ᲛᲝᲒᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲛᲝᲛᲬᲔᲕᲠᲘᲐᲜ ᲝᲠᲛᲝᲪᲓᲐᲝᲗᲛᲐᲜᲔᲗᲘᲐᲜ ᲝᲑᲚᲘᲗᲔᲑᲘᲡ ᲛᲝᲒᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲛᲝᲛᲬᲔᲕᲠᲘᲡ ᲛᲘᲮᲔᲓᲕᲘᲗ ᲛᲝᲒᲔᲑᲣᲚᲘ ᲡᲔᲠᲘᲘᲡ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲜᲝᲛᲔᲠᲘᲡ ᲛᲘᲮᲔᲓᲕᲘᲗ ᲨᲔᲛᲝᲛᲬᲔᲕᲠᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲑᲐᲛᲘᲡᲐᲓ ᲒᲐᲘᲪᲔᲛᲐ 200, 500 ᲓᲐ 1000 ᲛᲐᲜᲔᲗᲘ. ᲐᲡᲘᲐᲜᲔᲗᲘᲐᲜᲘ ᲝᲑᲚᲘ�გᲐᲪᲘᲘᲡ ᲔᲠᲗ-ᲔᲠᲗ ᲜᲝᲛᲔᲠᲖᲔ 500, 1000, 2500, 5.000 ᲓᲐ 10.000 ᲛᲐᲜᲔᲗᲘᲡ ᲛᲝᲒᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲛᲝᲛᲬᲔᲕᲠᲘᲡ ᲛᲔᲝᲠᲔ ᲜᲝᲛᲔᲠᲖᲔ ᲛᲝᲒᲔᲑᲘᲡ ᲝᲓᲔᲜᲝᲑᲐ ᲘᲥᲜᲔᲑᲐ 100 ᲛᲐᲜᲔᲗᲘ ᲓᲐ ᲝᲑᲚᲘᲗᲔᲑᲘᲡ ᲛᲝᲒᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲛᲝᲛᲬᲔᲕᲠᲘᲡ ᲛᲘᲮᲔᲓᲕᲘᲗ ᲨᲔᲡᲐᲑᲐᲛᲘᲡᲐᲓ ᲒᲐᲘᲪᲔᲛᲐ 600, 1100, 2600, 5100 ᲓᲐ 10.100 ᲛᲐᲜᲔᲗᲘ. 25-ᲛᲐᲜᲔᲗᲘᲐᲜ ᲝᲑᲚᲘᲗᲔᲑᲘᲡ ᲛᲝᲒᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲛᲝᲛᲬᲔᲕᲠᲘᲡ ᲛᲘᲮᲔᲓᲕᲘᲗ ᲛᲝᲒᲔᲑᲣᲚᲘ ᲡᲔᲠᲘᲘᲡ ᲜᲝᲛᲔᲠᲘᲡ ᲛᲘᲮᲔᲓᲕᲘᲗ ᲨᲔᲛᲝᲛᲬᲔᲕᲠᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲑᲐᲛᲘᲡᲐᲓ ᲒᲐᲘᲪᲔᲛᲐ 600, 1100, 2600, 5100 ᲓᲐ 10.100 ᲛᲐᲜᲔᲗᲘ. 25-ᲛᲐᲜᲔᲗᲘᲐᲜ ᲝᲑᲚᲘᲗᲔᲑᲘᲡ ᲛᲝᲒᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲛᲝᲛᲬᲔᲕᲠᲘᲡ ᲛᲘᲮᲔᲓᲕᲘᲗ ᲛᲝᲒᲔᲑᲣᲚᲘ ᲡᲔᲠᲘᲘᲡ ᲜᲝᲛᲔᲠᲘᲡ ᲛᲘᲮᲔᲓᲕᲘᲗ ᲨᲔᲛᲝᲛᲬᲔᲕᲠᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲑᲐᲛᲘᲡᲐᲓ ᲒᲐᲘᲪᲔᲛᲐ 6000 ᲓᲐ 10.000 ᲛᲐᲜᲔᲗᲘ. ᲛᲝᲒᲔᲑᲘᲡ ᲜᲐᲮᲕᲐ ᲨᲔᲫᲚᲔᲑᲐ ᲛᲝᲗᲮᲝᲕᲓᲔᲡ ᲝᲑᲚᲘᲗᲔᲑᲘᲡ ᲜᲝᲛᲔᲠᲘᲡ ᲛᲘᲮᲔᲓᲕᲘᲗ ᲛᲝᲒᲔᲑᲣᲚᲘ ᲝᲑᲚᲘᲗᲔᲑᲘᲡ ᲜᲝᲛᲔᲠᲘᲡ ᲐᲜᲑᲐᲜᲘᲡ ᲛᲘᲦᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ.

ᲔᲡ ᲪᲮᲠᲘᲚᲘ ᲝᲤᲘᲪᲘᲐᲚᲣᲠᲘ ᲓᲝᲙᲣᲛᲔᲜᲢᲘᲐ, ᲠᲝᲛᲚᲘᲡᲐᲪ ᲡᲮᲠ ᲙᲐᲨᲘᲠᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲛᲝᲒᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲜᲐᲠᲩᲔᲜᲘᲡ ᲛᲘᲦᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ.

ᲛᲝᲒᲔᲑᲗᲐ ᲢᲘᲠᲐᲟᲘᲡ ᲙᲝᲛᲘᲡᲘᲘᲡ ᲗᲐᲕᲛᲯᲓᲝᲛᲐᲠᲔ — ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲡᲐᲮᲚᲘᲡ ᲠᲐᲝᲜᲘᲡ ᲞᲐᲠᲢᲐᲠᲘᲡ ᲓᲔᲞᲣᲢᲐᲢᲗᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲐᲮᲚᲗᲐ ᲐᲦᲛᲐᲡᲠᲣᲚᲔᲑᲔᲚᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲗᲐᲕᲛᲯᲓᲝᲛᲐᲠᲔ Ვ. Ბ. ᲫᲣᲜᲐᲫᲔ.

ᲙᲝᲛᲘᲡᲘᲘᲡ ᲞᲐᲡᲣᲮᲘᲡᲛ�გᲔᲑᲔᲚᲘ ᲛᲓᲘᲕᲐᲜᲘ Ვ. Ა. ᲞᲠᲘᲢᲙᲝᲕᲐ.

ᲠᲔᲓᲘᲝ

ᲠᲔᲓᲘᲝᲡ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲐ

8 ᲘᲐᲜᲕᲐᲠᲘ

პირველი პროგრამა. 15.50 — საინფორმაციო გამოშვება. 16.00 — ტელეკურსელთათვის. საშინაო დავალების ანალიზი ფიზიკაში. 16.30 — მოსწავლეთა ზამთრის არდადეგების გამო. სატელევიზიო კინოდარბაზი „ციხარა“. ქართული მოკლემეტრაჟიანი სატელევიზიო მხატვრული ფილმი „კუნჩი ბედინერი“ და მულტიპლიკაციური ფილმი „მწვანე ტოტი“. 17.10 — „თვალსანიერი“. სატელევიზიო ჟურნალი უფროსკლასელთათვის. 18.05 — „მიზანი ზომავლის სკოლა“. 18.55 — „საუნჯე“. ძალისა, ახალი არქეოლოგიური აღმოჩენა. 19.25 — საერთაშორისო დღიური. 20.00 — მოამბე. 20.35 — კინოჟურნალი „მეცნიერება და ტექნიკა“. 20.45 — პრემიერა ქართული მრავალსერიიანი სატელევიზიო მხატვრული. ფილმისა „ცხოვრება დონ კიხოტისა და სანჩო პანსასი“. ფილმი მეორე. მეორე სერია. 22.00 — „ვრემია“. 22.30 — აქტუალური ინტერვიუ. 22.40 — კალათბურთი სსრ კავშირის პირველობა-ზე: თბილისის „დინამო“ — ალმა-ათის ასკ. 23.10 — ქართველ ხელოვნების ოსტატთა კონცერტი.

მეორე პროგრამა. 16.05 — ქართული დოკუმენტური ფილმი „ქართული მართლმადიდებელი ეკლესია“. 16.35 — ცენტრალური ტელევიზიის გაცვლილი ფონდიდან. სატელევიზიო დოკუმენტური ფილმების ეკრანი. 17.40 — მხატვრული ფილმი „სულიკო“. 19.00 — მულტიპლიკაციური ფილმი „განძი კუნძული“. 19.50 — კინოჟურნალი „მინდა ყველაფერი ვიცოდე“. 20.00 — მოამბე. 20.35 — ქართული მხატვრული ფილმი. „მხიარული რომანი“.

ᲡᲐᲛᲨᲐᲑᲐᲗᲘ

9 ᲘᲐᲜᲕᲐᲠᲘ

პირველი პროგრამა. 11.10 — მოსწავლეთა ზამთრის არდადეგების გამო. სატელევიზიო კინოდარბაზი „ციხარა“. ქართული მხატვრული ფილმი „მეველური“. 12.30 — ობიექტივ-ინფორმაციები. ქიმია. 13.00 — ნაშუადღევს. 15.50 — საინფორმაციო გამოშვება. 16.00 — ქართული ენის ტელეკურსი. 16.30 — ათლეტიზმი. 16.55 — შევისწავლოთ ინგლისური ენა. 17.15 — მულტიპლიკაციური ფილმი. „ძველი შეზღვაურის ხომალდი“. 17.30 — მოსწავლეთათვის. ზუგდიდის პიონერთა სახლის საბავშვო თეატრის სპექტაკლი „ქვეყნად მოარული კაცი“. 18.40 — განცხადებები. 18.45 — „საბჭოები და ეროვნული კონცეფცია“. 19.15 — „პოეზია“. ვარლამ ფურული. 19.45 — ძილისპირული. 20.00 — მოამბე. 20.35 — „ბალავარი“ (არქიტექტურულ-სარესტავრაციო და მხატვრულ-დიზაინერული გაერთიანება). 20.50 — პრემიერა ქართული მრავალსერიიანი სატელევიზიო მხატვრული ფილმისა „ცხოვრება დონ კიხოტისა და სანჩო პანსასი“. ფილმი მეორე. მესამე სერია. 22.00 — „ვრემია“. 22.30 — სატელევიზიო ქორეოგრაფიული ფილმი „ფიქრები“.

მეორე პროგრამა. 16.05 — სრულმეტრაჟიანი მულტიპლიკაციური ფილმი „თოვლის დედოფალი“. 17.15 — ცენტრალური ტელევიზიის გაცვლითი ფონდიდან. სატელევიზიო დოკუმენტური ფილმების ეკრანი. 18.15 — ქართული სატელევიზიო მხატვრული ფილმი „ჯადოსნური ღამე“. 19.25 — მულტიპლიკაციური ფილმები: „ჯიქის სახლი“ და „ორი რაინდი“. 19.45 — დოკუმენტური ფილმი „დირიჟაბლის დაბრუნება“. 20.00 — მოამბე. 20.35 — სატელევიზიო ფილმ-სპექტაკლი. „ფიქრი სიყვარულზე“.

ᲝᲗᲮᲨᲐ